

სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება მოამზადეს სტუდენტებმა:
ანგელ რომერო, ლორენ შულცი, მარისა ფრედერიკი, ვოშბორნის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლა (აშშ)

უჩა ავსაჯანიშვილი, ვახტანგ გიორგაძე, თამარ იოსელიანი, დავით კაკოიშვილი,
მარიამ მაყიშვილი, თამარ მენთეშაშვილი, ქრისტინე ჩაფიძე, თბილისის თავისუფალი
უნივერსიტეტი

კვლევის ხელმძღვანელები:

ეკატერინე ლომთათიძე, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

პროფესორი ვილიამ რიჩი, ვოშბორნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა (აშშ)

სასამართლო მეგობრის მოსაზრების შინაარსი

I. შესავალი

II. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14
მუხლთან მიმართებით

III. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16
მუხლთან მიმართებით

IV. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-17
მუხლთან მიმართებით

V. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-18
მუხლთან მიმართებით

VI. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 36-ე
მუხლთან მიმართებით

VII. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე
მუხლთან მიმართებით

I. შესავალი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 1 მარტის ნო. 2/3/532,533
საოქმო ჩანაწერის თანახმად საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე
და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, არსებითად
განსახილველად იქნა მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოში ნო. 532 და ნო. 533
კონსტიტუციური სარჩელები, რომლებიც ეხება ქმედუუნარო პირების რიგი
კონსტიტუციური უფლებების დაცვას.

წინამდებარე სასამართლო მეგობრის მოსაზრება მომზადებულია თბილისის
თავისუფალი უნივერსიტეტის (საქართველო) და ვოშბორნის სამართლის სკოლის
(აშშ) სტუდენტების კვლევის საფუძველზე სწორედ ამ საქმესთან დაკავშირებით.
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჩაატარეს საქართველოს
საკონსტიტუციო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და
გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის კვლევა, რათა
ჩამოეყალიბებინათ თავიანთი მოსაზრება სადავო ნორმების ნაწილის
კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციის მე-14, მე-16, მე-17, მე-18, 36-ე და 42-ე
მუხლებთან მიმართებით.

ვოშბორნის სამართლის სკოლის სტუდენტების მიერ მომზადებული მოსაზრება
დეტალურად მიმოიხილავს ქმედუუნარო პირების უფლებების მარეგულირებელ

კანონმდებლობას და რელევანტურ კონსტიტუციურ საკითხებს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ და შტატების სამართლის დონეზე. წინამდებარე სასამართლო მოსაზრების მომზადების მთავარი მიზანია სასამართლოს ყურადღების გამახვილება იმ საკითხზე, რომ ქმედუუნარო პირები ობიექტურად არიან ჩაყენებულნი იმ მდგომარეობაში, რომელიც სრულიად არახელსაყრელია ამ ადამიანების კონსტიტუციური უფლებების რეალიზებისთვის და მათი, როგორც ავტონომიური სუბიექტის ფუნქციონირებისთვის. ეს რეალობა სახელმწიფოს და საზოგადოებას ავალეს, რომ ზომები მიიღოს ამ ადამიანებში არსებული შემცირებული თვითმმართველობის უნარების გაძლიერებისა და გამოვლენისკენ. ამის ნაცვლად საქართველოს კანონმდებლობა ირჩევს ორ-პოლუსიან მიდგომას, რომელშიც ადამიანები ან არიან ან არ არიან ქმედუუნარიანები. მათთვის, ვინც ქმედუუნარობის პოლუსზე აღმოჩნდება, ავტონომია აღარ არსებობს, რადგან სამართლებრივი სისტემისთვის მათი ნება, მათი პირადი ცხოვრების ყველაზე არსებით გადაწყვეტილებებთან დაკავშირებითაც კი, სრულად ჩანაცვლებულია მათი ქმედუუნარიანი მეურვის ნებით.

ამ მოსაზრების თანახმად, ერთადერთი სიკეთე, რასაც სახელმწიფო არსებული რეგულირებიდან იღებს, არის მისი ოპერირების სიმარტივე და სწორხაზოვნება, რასაც ეწირება ქმედუუნაროდ ცნობილი ადამიანების ფუნდამენტური უფლებები - მათი ის ნაწილი, რისი გამოყენებაც შეუძლიათ. სიმარტივე არ არის და არ უნდა ჩაითვალოს ლეგიტიმურ მიზნად, რომელიც კონსტიტუციური უფლებების ერთიან ჩამორთმევას გაამართლებდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნების მაგალითი (აქ განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების და პოლონეთის კანონმდებლობა) აშკარად აჩვენებს, რომ შესაძლებელია კონსტიტუციური უფლებების ნაკლებად შეზღუდვა ქმედუუნარო პირების სამართლებრივი ინტერესების დასაცავად. ნაკლებად მზლუდავი საშუალების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მძლავრი არგუმენტია სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობის დემონსტრირებისთვის.

II. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით

ა. სადავო ნორმები საქართველოს კონსტიტუციის მე-14-ე მუხლთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 1 მარტის 2/3/532,533 საოქმო ჩანაწერის თანახმად, #532 და #533 კონსტიტუციურ სარჩელებში საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით სადავოდ გამხდარი ნორმებიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო შემდეგი ნორმები: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 ნაწილის სიტყვა „ჭკუასუსტობა“, 58-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები: „სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა“, 1290-ე მუხლი, 1293-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილის სიტყვები: „აგრეთვე ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეთა“, ამავე კოდექსის 327-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის სიტყვები „ან ჭკუასუსტობა“, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილის სიტყვები: „აგრეთვე

ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეთა”, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე” ქვეპუნქტის სიტყვები „სულით ავადმყოფობა“.

ბ. მოსარჩელეთა არგუმენტები

მოსარჩელები, ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე მიუთითებენ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლზე და მიიჩნევენ, რომ ზემოაღნიშნული სადავო ნორმები ახდენს ქმედუუნარო პირთა დისკრიმინაციას, რადგან არსებობს ცხოვრების ისეთი სფეროები, სადაც ქმედუუნარო პირს შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ვერ ახერხებს ამას ქმედუუნარობის სტატუსის გამო. კერძოდ, დისკრიმინაცია მდგომარეობს იმაში, რომ ქმედუუნაროდ აღიარებულ ადამიანთა ნაწილს გააჩნია უნარი დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები ცალკეულ კონკრეტულ საკითხებზე, თუმცა ქმედუუნარო პირებს თავიანთი სტატუსის გამო, ჩამორთმეული აქვთ ყველანაირი გადაწყვეტილების მიღების უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის ძირითადი არგუმენტი ემყარება იმას, რომ სადავო ნორმები ყველა ქმედუუნაროსადმი ერთნაირია, მაშინ როდესაც ზოგიერთ მათგანს რაღაც საკითხებში ქმედუუნარიანი პირების მსგავსად შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება.

გ. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის არსი

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში არსებულ ჩამონათვალთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 წლის გადაწყვეტილებით შეცვალა მანამდე არსებული პრაქტიკა და დაადგინა, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლში მითითებული ნიშნების ჩამონათვალი, არ არის ამომწურავი: საჭიროა ამ „ფუძემდებლური კონსტიტუციური ნორმა-პრინციპის სრულყოფილი განმარტება, მასში ობიექტივირებული ნების არსის გაგება. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის ძირითად უფლებას, არამედ კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს. მისი მიზანია, უზრუნველყოს თანასწორობა კანონის წინაშე, არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ ან პირიქით. ამ მუხლში არსებული ნიშნების ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით, ამომწურავია, მაგრამ ნორმის მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა“.

დ. სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასება მე-14 მუხლთან მიმართებით მე-14 მუხლთან მიმართებით სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებისთვის, პირველ რიგში სასამართლომ უნდა დაადგინოს:

1. ქმედუუნარო და ქმედუუნარიანი პირები თუ შეიძლება წარმოადგენდნენ არსებითად თანასწორებს მათი შესაძლებლობების თვალსაზრისით;
2. ადგილი აქვს თუ არა არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობას.

3. დიფერენციაცია მოკლებული უნდა იყოს გონივრულ და ობიექტურ საფუძვლებს და არ უნდა იყოს დაცული პროპორციულობა მისაღწევ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებას შორის.

სადავო ნორმების არსებობის შედეგად, პირის ქმედუწუნაროდ აღიარების შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ქონდეს თანაბარი უწარების მქონე ადამიანების მიმართ განსხვავებული მოპყრობას ან არათანაბარი უწარების მქონე პირთა ერთგვარ მოპყრობას. შესაბამისად, ერთი მხრივ ადგილი აქვს დისკრიმინაციას უშუალოდ ქმედუწუნაროდ აღიარებულ პირებს შორის ერთმანეთთან მიმართებით, ხოლო მეორე მხრივ - ქმედუწუნაროდ აღიარებულ პირებსა და ქმედუწუნარიან პირებს შორის.

სასამართლო ყველა შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის მქონე პირს, მათი ქმედუწუნაროდ გამოცხადების შემთხვევაში, აყენებს თანაბარ მდგომარეობაში, მაშინ როდესაც მათი გონებრივი შესაძლებლობები თუმცა შეზღუდულია, მაგრამ მაინც სხვადასხვაა. სხვადასხვა პირის გონებრივი შეზღუდვის ხასიათი შეიძლება სრულიად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, თუმცა ორივე შემთხვევაში გონებრივი შეზღუდვა იყოს სახეზე. განსხვავებული უწარებისა და შესაძლებლობების მქონე ადამიანების ქმედუწუნაროდ აღიარება მათ ერთ სამართლებრივ სიბრტყეში და ერთ რეჟიმში აქცევს და თანაბარ მდგომარეობაში აყენებს. გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-14 მუხლის მიზანია, არ დაუშვას არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ განხილვა და პირიქით-არსებითად უთანასწოროთა თანასწორად განხილვა. ეს უკანასკნელი შემთხვევა სახეზე ორი ქმედუწუნარო პირის შედარებისას: ორი ადამიანი, სხვადასხვა სიმძიმის გონებრივი პრობლემათ, სხვადასხვა მენტალობით, სასამართლოს მიერ ქმედუწუნაროდ გამოცხადების შემთხვევაში თანაბარ მდგომარეობაში ექცევა, რაც ამკარად მიუთითებს მე-14 მუხლის მიზანთან შეუსაბამობაზე.

როგორც მოსარჩელები აღნიშნავენ, სასამართლოს მიერ პირის ქმედუწუნაროდ გამოცხადება იწვევს მის აბსოლუტურ უუფლებობას, თავად განსაზღვროს თავისი ცხოვრების თუნდაც უმნიშვნელო დეტალები. ამასთან, ქმედუწუნარობის სტატუსი პირს ენიჭება განუსაზღვრელი დროით. შესაბამისად, აბსოლუტურად შესაძლებელია გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ პირმა განივითაროს ისეთი უწარები, როდესაც მას შეეძლება ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და ამას ვერ მოახერხებს იმის გამო, რომ მას განუსაზღვრელი ვადით აქვს ჩამორთმეული ქმედუწუნარიანობა. მაგალითად, როდესაც ქმედუწუნაროდ გამოცხადებული პირის გონებრივი შესაძლებლობები უმჯობესდება, სასამართლოს მიერ მიღებული ადრინდელი გადაწყვეტილების გამო, სანამ მეურვე არ გადაწყვეტს მისი ქმედუწუნარობის გადასინჯვას, მას არ შეუძლია განახორციელოს თავისი ქმედებები, რომელთა განხორციელებისთვის ადექვატურ მენტალობას, შესაძლებლობებს ფლობს. გარდა ამისა, გონებრივი შეზღუდვის არსებობა არ გულისხმობს ყველა საკითხში გადაწყვეტილების მიღების უწარის არქონას. მაგალითად, შეიძლება არსებობდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც პირს აქვს მძიმე მენტალური პრობლემები, მაგრამ მას შეუძლია თავად გადაწყვიტოს როდის მიიღოს საკვები, იყიდოს მაღაზიაში პური და მიიღოს სხვა ამგვარი მარტივი გადაწყვეტილებები; მაგრამ ქმედუწუნარობის სამართლებრივი რეჟიმი ამგვარი ქმედების განხორციელების უფლებასაც კი ართმევს მას. ეს ქმნის დისკრიმინაციულ მდგომარეობას სხვა დანარჩენ პირებთან, რომლებსაც

საკუთარი სურვილისამებრ შეუძლიათ და აქვს უფლება მიიღონ სხვადასხვა მარტივი გადაწყვეტილებები პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით.

ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პირი ასეთ შებოჭილ მდგომარეობაში რჩება განუსაზღვრელი ვადით, სანამ მისი მეურვე არ გადაწყვეტს, რომ გონებრივი შეზღუდვა გარკვეულწილად გაუმჯობესდა და საჭიროა პირის ქმედუნარიანობის გადასინჯვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი ქმედუნარიანობის აღდგენა. მაგრამ სანამ პირი ქმედუნარიანობის სტატუსის მქონეა, აშკარაა დიფერენცია იმ თვალსაზრისით, რომ მას არ შეუძლია არც ერთი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, მაშინაც კი, როდესაც სხვა პირების მსგავსად აქვს ამის უნარი, მაგრამ მათგან განსხვავებით ქმედუნარიანობის სტატუსი არ აძლევს ამ უნარის გამოყენების შესაძლებლობას.

ე. მე-14 მუხლთან მიმართებით კონსტიტუციურობის შემოწმების ტესტი როგორც საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, „თანასწორობის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასების სტანდარტები არ არის ერთგვაროვანი. ნორმა, რომლითაც დადგენილი დიფერენცირება უკავშირდება კლასიკურ, სპეციფიკურ ნიშნებს ან/და ხასიათდება მაღალი ინტენსივობით, ექვემდებარება კონსტიტუციურ შემოწმებას “მკაცრი ტესტის” ფარგლებში, თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით. ამ ტესტის ფარგლებში ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებისას საჭიროა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არის აბსოლუტურად აუცილებელი, არსებობს სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი“ .

კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნების საფუძველზე განსხვავებული მოპყრობისას სადავო ნორმების კონსტიტუციურობის დადგენისთვის სასამართლო ყოველთვის იყენებს მკაცრ ტესტს. საქმეში „ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, სასამართლომ განმარტა, რომ მე-14 მუხლში არსებული ჩამონათვალი ეფუძნება სამ ძირითად ფაქტორს:

- მომდინარეობს ადამიანის იდენტობის გამომხატველი ფაქტორებიდან
- ემყარება მათი ღირსების პატივისცემას
- გააჩნია თავისი ისტორიული წინამძღვრები

„ამ ნიშნების საფუძველზე დიფერენცირება წარმოადგენს დისკრიმინაციის მომეტებული რისკის მატარებელ შემთხვევებს და მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. თუმცა ეს არ გამორიცხავს ადამიანთა არაგონივრული დიფერენცირების სხვა შემთხვევების არსებობას და მათი კონსტიტუციით აკრძალვის საჭიროებას.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქმედუნარიანობის საკითხის მკაცრი ტესტის გამოყენებით განხილვისთვის საჭიროა, ზემოთ ჩამოთვლილ სამ ძირითადი ნიშანი იყოს სახეზე.

პირველი ფაქტორი არის ადამიანის იდენტობა. ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი ნებით იმოქმედოს და მართოს თავისი ცხოვრება. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს თითოეული ინდივიდის ავტონომიურ ქმედებებთან, რომლებიც თითოეულ მათგანს განასხვავებს სხვა დანარჩენისგან და მის დამოუკიდებელ იდენტობას აყალიბებს.

რაც შეეხება მეორე ფაქტორს, პირველ რიგში ღირსების ქვეშ მოიაზრება ის, რომ ადამიანი არასდროს უნდა იყოს ვიღაცის, ან თუნდაც საზოგადოების რაიმე მიზნის

მიღწევის საშუალება და პირიქით, თითოეული პირი უნდა იყოს მიზანი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანი უნდა იყოს სამართალსუბიექტი და არ უნდა იქცეს სამართლიდან და საზოგადოებიდან გარიყულ ობიექტად. როდესაც ადამიანი ექცევა „ქმედუნაროს“ კატეგორიის ქვეშ, მას ერთმევა ნებისმიერი გარიგების დამოუკიდებლად დადების შესაძლებლობა და სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 ნაწილის სადავო სიტყვის მიხედვით ცალკეულ შემთხვევებში ეწოდება „ჭკუასუსტი“. ასეთ დროს მისი სამართლებრივი მდგომარეობა აჩვენებს რომ იგი საზოგადოებისთვის წარმოადგენს მოსაგვარებელ და მოსაცილებელ პრობლემას, ტვირთს, ის იქცევა საზოგადოების და კონკრეტულად მეურვის ზრუნვის ობიექტად. „ქმედუნაროს“ სტატუსი პირდაპირ არის დაკავშირებული პირის ობიექტიფიკაციასთან და ქმედუნაროს პირის, როგორც დამოუკიდებელი და უნიკალური გადაწყვეტილების მიმღები პირის, სუბიექტის და სამართლებრივი სისტემის მიზნის უგულებელყოფასთან. შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს რომ ქმედუნარობის ნიშნით, პირების განსხვავებული მოპყრობა დაკავშირებულია მათი ღირსებასთან.

ქმედუნარო პირთა დისკრიმინაციას თავისი ისტორიული წინამძღვრები გააჩნია. აღნიშნული განსაკუთრებით გამოიკვეთა ნაცისტების მმართველობის დროს. კერძოდ, „1939 წელს მათ შეიმუშავეს T4 პროგრამა, მოეკლათ ყველა განუკურნებელი ავადმყოფი, ფიზიკურად ან მენტალურად დაავადებული, ემოციურად არამდგრადი და ასაკოვანი ხალხი. ნაცისტები ასეთ ადამიანებს მოიხსენიებდნენ როგორც „ქვეყნის დამამძიმებელ მაცხოვრებლებს“ და „გამოუსადეგარ მჭამელებს.“ ამ პროგრამის დამცველები განუკურნებელ ავადმყოფ ბავშვებს ხედავდნენ როგორც ჯანსაღი ნაცისტი საზოგადოების ტვირთს. ოფიციალურად, მსხვერპლთა ოდენობა განისაზღვრა 70,000 კაცით, თუმცა რეალურად ეს რიცხვი იყო გაცილებით დიდი, შესაძლოა 200,000–ზე მეტიც.“ ცხადია, ნაცისტების მაგალითი ერთადერთი არაა, თუმცა იმის ნათელსაყოფად საკმარისია, რომ ადამიანის უნართან და შესაძლებლობებთან დაკავშირებულ დისკრიმინაციულ მოპყრობას გააჩნია ისტორიული წინამძღვრები.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ თუმცაღა გონებრივი შეზღუდვის ნიშანი პირდაპირ არი არის ნახსენები კონსტიტუციაში, გონებრივი ნიშნით დიფერენციაცია მკვეთრად აცილებს თანასწორ პირებს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობისაგან, შესაბამისად იგი უნდა მოიაზრებოდეს მე-14 მუხლის ფარგლებში და სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე უნდა იმსჯელოს იმგვარად, როგორც იმსჯელებდა სხვა ნებისმიერ ნიშანთან დაკავშირებით, რომლებიც მოცემულია მე-14 მუხლის ჩამონათვალში. აღნიშნულის გამო, ჩვენი აზრით, სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს მკაცრი ტესტის გამოყენებით.

ვ. ნაკლებად მზღუდავი საშუალების არსებობა: პოლონეთის მაგალითი საქმეში „ახალი მემარჯვენეები და საქართველოს კონსერვატიული პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სასამართლო აღნიშნავს, რომ მკაცრი ტესტის ფარგლებში ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებისას საჭიროა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არის აბსოლუტურად აუცილებელი, არსებობს „სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი“. თუ დაუძლეველი ინტერესის არსებობა

დადასტურდება, შემდეგ ეტაპზე უნდა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა სახელმწიფოს იმის შესაძლებლობა, რომ უფრო ნაკლები ინტენსივობის შეზღუდვა დაეწესებინა. როგორც ნო. 532-ე სარჩელშია აღნიშნული, ცნობილია ქმედუნარიანობის სამი მოდელი: ა. სტატუსზე დაფუძნებული (იგივე ინსტიტუციური) ქმედუნარიანობა; 2. შეფასებითი ქმედუნარიანობა; 3. ფუნქციური ქმედუნარიანობა.

ამათგან, ფუნქციური ქმედუნარიანობა პირის ინდივიდუალიზაციას ახდენს და საშუალებას იძლევა ქმედუნარიანობა დადგინდეს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ ადამიანი ერთ საკითხთან დაკავშირებით გამოცხადდეს ქმედუნარიად, რაც არ გულისხმობს სხვა ქმედებების განხორციელების უფლების ჩამორთმევას. გონებრივი შეზღუდვის მქონე პირის უნარები კარგად უნდა იქნეს გამოკვლეული და არ შეიძლება, რომ ერთ ქმედებაში სერიოზული გონებრივი პრობლემა არსებობის გამო სასამართლომ სრულიად ჩამოართვას მას გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. პირი კონკრეტულ საკითხში თავისუფლად მოქმედების უფლებას შეიძლება კარგავდეს, მაგრამ ეს არ იმოქმედებს ისეთ გადაწყვეტილებებზე, რისი მიღებაც მას დამოუკიდებლად შეუძლია.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა პოლონეთის მიდგომა, რადგან ამ ქვეყნის სამართლის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირად ითვლება ადამიანი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სამართლებრივი ძალის მქონე სერტიფიკატი, სადაც აღნიშნულია შეზღუდული შესაძლებლობების და შრომისუნარიანობის დონე. სერტიფიკატის მიღება აუცილებელია, რათა პირმა სოციალური შეღავათებით ისარგებლოს, მათ შორის შემცირებული სამუშაო დღით, დამატებითი დასვენებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების რეაბილიტაციის ეროვნული ფონდის (PFRON) დახმარებით და ა.შ.

სერტიფიკატს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების რეაბილიტაციის ეროვნული ფონდი გასცემს ადგილობრივ დონეზე. მასში აღინიშნება პირის შეზღუდული შესაძლებლობების ხარისხი, რომელიც შეიძლება სამგვარი იყოს:

1. შეზღუდული შესაძლებლობების მძიმე ფორმა – მოიცავს პირებს ორგანიზმის ისეთი დარღვევებით, რომლებსაც არ შეუძლიათ, რომ დამოუკიდებლად იცხოვრონ და რომლებიც შრომისუნარიანობა არიან, ან მუშაობა მხოლოდ სპეციალურად მათთვის შექმნილ გარემოში შეუძლიათ, ხოლო სოციალური როლის შესასრულებლად საჭიროებენ მუდმივ ან ხანგრძლივ დახმარებასა და მოვლას.
2. შეზღუდული შესაძლებლობების ზომიერი ფორმა – მოიცავს პირებს ორგანიზმის ისეთი დარღვევებით, რომლებიც შრომისუნარიანობა არიან, ან მუშაობა მხოლოდ სპეციალურად მათთვის შექმნილ გარემოში შეუძლიათ, ხოლო სოციალური როლის შესასრულებლად დროებით ან ნაწილობრივ დახმარებასა და მოვლას საჭიროებენ.
3. შეზღუდული შესაძლებლობების მსუბუქი ფორმა – მოიცავს პირებს ორგანიზმის ისეთი დარღვევებით, რომელთა შრომისუნარიანობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული (იგივე პროფესიონალური კვალიფიკაციის მქონე ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად და ინტელექტუალურად ეფექტიან ადამიანთან შედარებით) ან პირებს სოციალური როლის შესრულების შემცირებული შესაძლებლობით, რომელიც შეიძლება კომპენსირებული იქნეს ორთოპედიული აღჭურვილობით, დახმარებით და ტექნიკური საშუალებებით.

აღნიშნულთან ერთად, პოლონეთში ასევე არსებობს შრომისუნარიანობის დონის შეფასებაც. მას სოციალური დაზღვევის ინსტიტუტი (ZUS) ატერებს და ამ მხრივ, შრომისუნარიანობის სამი დონე გამოიყოფა:

1. სრული შრომისუნარობა და დამოუკიდებლად ცხოვრების შეუძლებლობა;
2. სრული შრომისუნარობა;
3. ნაწილობრივი შრომისუნარობა.

ამის შემდეგ შეზღუდული შესაძლებლობების ხასიათის და ხანგრძლივობის და შრომისუნარიანობის ხარისხის მიხედვით წყდება პირის ქმედუნარიანობის საკითხი. კერძოდ, პირი სამართლებრივად ქმედუნაროდ უვადოთ ან გარკვეული ვადით შეიძლება გამოცხადდეს. ქმედუნაროა პირი, რომელსაც ისეთი დროებითი ან მუდმივი შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნია, რომლებიც მას მუდმივად ან დროებით ხელს უშლის საზოგადოებაში მისი როლის შესრულებაში.

აღნიშნული, რომელსაც დაავადების შედეგად არ შეუძლია, რომ საკუთარი ნება აკონტროლოს, სრულად ქმედუნაროდ ცხადდება (პოლონეთის სამოქალაქო კოდექსის მე-13 მუხლი). ამავე დროს, პოლონეთის სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, პირი, რომლის მდგომარეობიდან გამომდინარე გამართლებული არ არის, რომ იგი სრულად ქმედუნაროდ გამოცხადდეს, მაგრამ რომელსაც ურთიერთობების განხორციელებაში დახმარება სჭირდება, შეიძლება ნაწილობრივ ქმედუნაროდ გამოცხადდეს.

ამ მხრივ, დასაშვებია, რომ შემცირდეს ან გამოირიცხოს:

- სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში დამოუკიდებლად შესვლის უფლება (სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლი) მაგალითად, გარიგების დადების უფლება.
- წარმომადგენლად გახდომის შესაძლებლობა (109.2-ე მუხლი)
- ანდერძის შედგენის უფლება (944-ე მუხლი)

მოცემული მაგალითი ცხადყოფს, რომ პოლონეთის სამართლებრივი სისტემა ქმედუნარო პირებს შორის გარკვეულ დიფერენცირებას ახდენს და მათი უნარების დონეებს გამოყოფს იმისდა მიხედვით, თუ რა ინტენსივობითაა შეზღუდვა წარმოდგენილი და რა ქმედების განხორციელება შეუძლია პირს. შესაბამისად, ნათელია, რომ პოლონეთის სამართალიც ახლოს დგას ფუნქციურ ქმედუნარიანობასთან.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამოიკვეთა, რომ სტატუსზე დაფუძნებული ქმედუნარიანობა, რომელიც საქართველოშია აღიარებული, არ არის ის ერთადერთი საშუალება, რითაც სახელმწიფოს შეუძლია დაარეგულიროს აღნიშნული პრობლემა. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ სადავო ნორმები დისკრიმინაციული ხასიათისაა და წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიზანთან. ამიტომ, სადავო ნორმები ამ მუხლთან მიმართებით უნდა იქნეს ცნობილი არაკონსტიტუციურად.

III. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს ადამიანის პიროვნების განვითარებისათვის საჭირო ისეთ უფლებებს, როგორცაა გამოხატვის, მოქმედებისა

და პირადი ცხოვრების თავისუფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 9 ივნისის განჩინებაში საქმეზე „დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ აღნიშნა, რომ „პერსონალურ კავშირებს ადამიანთა გარკვეულ წრესთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარების უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი საგანგებოდ ითავლისწინებს თავისუფალი განვითარების უფლებას.“ ასევე 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინებაში საქმეზე „ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-16 მუხლი იცავდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისათვის განკუთვნილ საკითხებს.

სასამართლოს მიერ პირის ქმედუუნაროდ აღიარება, ფაქტობრივად ართმევს ადამიანს იმის უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი ცხოვრება და მიიღოს გადაწყვეტილებები. პირისათვის ქმედუუნარიანობის ჩამორთმევა, და მისი უფლებების მეურვისათვის გადაცემა პიროვნებას სამართლებრივი სფეროს მიღმა აყენებს და ეწინააღმდეგება პიროვნების თვითგანვითარების უფლებიდან გამომდინარე ავტონომიურობის პრინციპს. ქმედუუნარო პირად აღიარება გულისხმობს მისთვის ისეთი უფლებების ჩამორთმევას, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი განვითარებისათვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში აღნიშნა, რომ „მე-16 მუხლით ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რაც სხვა გარემოებებთან ერთად უნდა გულისხმობდეს ადამიანის ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი სრულყოფა-განვითარების უფლებას.“ ხოლო ადამიანს, ქმედუუნარო პირად აღიარებით ფაქტობრივად ერთმევა განვითარების უფლება, რადგან მას არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი დაცვა იმისთვის, რომ მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო პროცესებში და დამოუკიდებლად აირჩიოს მისთვის სასურველი ცხოვრების სტილი.

ბ. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ღირსების ხელშეუხებლობას უკავშირებს. ერთ-ერთ საქმეში აღნიშნულია, რომ ადამიანის თავისუფალი პიროვნულობა უზენაესი ღირებულება . პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება უზრუნველყოფს ადამიანის ნიჭისა და უნარის რეალიზაციას. იგი აყალიბებს ადამიანის ღირსების მატერიალურ და შინაარსობრივ მხარეს. ამიტომ, ეს უფლება ხშირად განიხილება, როგორც ღირსების უფლების კონკრეტიზაცია. ისევე როგორც ადამიანის ღირსება, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ხელშეუვალია. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ საზოგადოება პატივს უნდა სცემდეს და ყურადღებით ეკიდებოდეს ადამიანს და მიიჩნევს, რომ ადამიანი არ შეიძლება იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ობიექტი .

პირის ქმედუუნარიანად აღიარება კი უკვე გულისხმობს მის ღირსებაში ჩარევას, როცა ადამიანს ერთმევა ყველანაირი სამართლებრივი საფუძველი თავისი ინტერესების დასაცავად და ის სახელმწიფოს ობიექტად იქცევა, რის შედეგადაც ქმედუუნარო პირები კარგავენ ცხოვრების საკუთარი სურვილისამებრ მოწყობის უფლებას და მთლიანად მეურვეების სურვილებზე დამოკიდებულნი ხდებიან. აღნიშნულ საკითხს უფრო ვრცლად მოგვიანებით შევეხები.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „Stasi-Fragen“ აღნიშნა, რომ საყოველთაო პიროვნულობის უფლება მოიცავს პირადი ცხოვრების ავტონომიურობასაც და უზრუნველყოფს მისი ძირითადი პირობების შენარჩუნებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ნებისმიერ პიროვნებას აქვს იმის უფლება საკუთარი ცხოვრება მისი სურვილისამებრ მოიწყოს, რის შედეგადაც ხდება პირის ინდივიდუალობის განვითარება.

აღსანიშნავია, რომ შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მეურვისათვის გადაცემით, ადამიანი კარგავს აღნიშნული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას. მართალია სამოქალაქო კოდექსის ნორმები მეურვეს ავალდებულებს სამეურვეო პირის ინტერესების შესაბამისად მოქმედებას, მაგრამ ეს ვერ იქნება იმის გარანტი რომ, მეურვის თითოეული გადაწყვეტილება ნამდვილად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესების დაცვისკენ იქნება მიმართული. ის, რომ მეურვემ გარკვეული მოქმედების შესრულება ან მისგან თავის შეკავება საჭიროდ ჩათვალა, რათა დაეცვა სამეურვეო პირის ინტერესები, მისი სუბიექტური განსჯის შედეგია. მარტივად წარმოსადგენია, რომ თავად ქმედუუნარო პირს სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება სურდეს და ეს გადაწყვეტილება რიგითი გონიერი ადამიანის შეფასების მიხედვით არ იყოს საზიანო მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისთვის. ადამიანის პიროვნების განვითარებაზე, პიროვნულ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების უფლების სხვისთვის მინიჭებით აშკარაა ავტონომიურობისა და ინდივიდის პიროვნული თვითგამორკვევის უფლების უგულებელყოფა.

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „Ehelichkeitsanfechtung“ მიიჩნია, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება არ არის აბსოლუტური და შესაძლოა კონსტიტუციურ ფარგლებში პროპორციულად შეიზღუდოს, მაგრამ „შეზღუდვები დასაშვებია, როცა ისინი მიმართულია საერთო ინტერესების დაცვისკენ, როცა დაცვის მიზანი ისე მნიშვნელოვანია, რომ ამ ღონისძიებას ამართლებს“. სასამართლომ ასევე ერთ-ერთ საქმეზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ ინდივიდი დაცული იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევისაგან, მაგრამ თუ ჩარევა გარდაუვალია კანონიერი მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალება უნდა იყოს სათანადო და მან ზომაზე მეტად არ უნდა დააზარალოს ინდივიდი.

პირის ქმედუუნაროდ აღიარებით უკვე აშკარაა ხელისუფლების ჩარევა ინდივიდის პირად სფეროში. სახელმწიფოს მიზანს ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარებისას წარმოადგენს ისევე პირის დაცვა თავისივე მოქმედებით საკუთარი თავისადმი მიყენებული ზიანისაგან, მაგრამ გამოყენებული თავდაცვის საშუალება უნდა იყოს ზომიერი და მან იმაზე მეტად არ უნდა დააზარალოს ინდივიდი, ვიდრე მისი არ არსებობის შემთხვევაში დაზარალდებოდა. როცა საზოგადოების ნაწილს, ქმედუუნაროდ ცნობით ერთნაირად ზღუდავ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მათშიც არსებობდნენ ისეთები, რომელთაც სხვაზე უკეთესად ექნებათ გამომუშავებული უნარები ცხოვრების გარკვეულ სფეროში, ეს უკვე წარმოადგენს არაზომიერ ჩარევას. პირისათვის ყველანაირი სამართლებრივი უფლების ჩამორთმევა, მისი სოციალური პროცესებისაგან მოწყვეტა ვერ ჩაითვლება სათანადო და ზომიერ საშუალებად მისი დაცვის მიზნის მისაღწევად.

ბ. სადავო ნორმების შეფასება მე-16 მუხლთან მიმართებით

ბ.1. სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 ნაწილის ბოლო სიტყვის

„ჭკუასოსტობის“ მიმართება მე-16 მუხლთან

ჭკუასუსტობა ქმედუუნარობის ერთ-ერთი ფორმაა, ვინაიდან ყველა ქმედუუნარო ჭკუასუსტი არ არის; ზოგი სულით ავადმყოფია. სიტყვა „ჭკუასუსტის“ გამოყენებით ქმედუუნარო პირის მიმართ ხდება პიროვნების სრულყოფილი განვითარებისთვის ხელის შეშლა, ვინაიდან იმ პირობებში, როდესაც ასეთ ადამიანს კანონი მოიხსენიებს ჭკუასუსტად, მის გარშემო მყოფ ადამიანებს თავისთავად უჩნდებათ განცდა, რომ ასეთ ადამიანთან ურთიერთობა დაკავშირებულია არასრულყოფილებასთან. ეს ხშირ შემთხვევაში ხდება საფუძველი იმისა, რომ სირცხვილი და უპატივისმცემლობა, ფონად გასდევს ქმედუუნარო პირთან ნებისმიერ ურთიერთობას, მათ რიცხვში, ურთიერთობას ქმედუუნარო პირსა და მეურვეს შორის.

ადამიანი სოციალური ურთიერთობების შედეგად ყალიბდება და ახდენს საკუთარი ადგილის განსაზღვრას საზოგადოებაში. სოციალიზაცია და ჩამოყალიბებული ურთიერთობები პირის სრულყოფილი განვითარების შემადგენელი ნაწილია. ის ხელოვნური სტიგმა, რომელიც იქმნება ქმედუუნარო პირის გარშემო მოქმედებს არა მხოლოდ მასზე, არამედ მის მეურვეზეც, რომლისთვისაც „ჭკუასუსტთან“ ურთიერთობა უკვე აღარ აღიქმება ჩვეულებრივად და ხდება მისი დაკავშირება უარყოფით ემოციებთან - სირცხვილსა და უპატივცემლობასთან. შესაბამისად, ეს გავლენას ახდენს თავად მეურვისა და ქმედუუნარო პირს შორის ურთიერთობებზეც. ამავე სტიგმის გავლენა შეიძლება იგრძნოს ადამიანმა მაშინ, როდესაც მას სთავაზობენ ქმედუუნარო პირის მეურვედ დანიშვნას. შეიძლება პირმა, რომელსაც მართალია აქვს სურვილი, გახდეს მეურვე და ყველაზე უკეთ აკმაყოფილებს კანონით მეურვისთვის დადგენილ მოთხოვნებს, იმ სტიგმის ზეგავლენით, რომელიც საზოგადოებაში არსებობს და რომელიც დაკავშირებულია „ჭკუასუსტთან“ ურთიერთობასთან, დააბრკოლოს ის იმ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისას. ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი სტიგმა აისახება კერძო ურთიერთობებზე და შემდეგ უკვე გავლენას ახდენს კონკრეტული პირის სრულყოფილ განვითარებაზე.

ბ.2. სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების:

„სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა“, ასევე 1290-ე მუხლისა და 1293-ე მუხლის პირველი ნაწილის მიმართება მე-16 მუხლთან.

58-ე მუხლის პირველი ნაწილი ბათილად აცხადებს სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების ყოველგვარ გამოვლენას, რაც ნიშნავს იმას, რომ ქმედუუნარო პირის ავტონომიისთვის საერთოდ არ რჩება ადგილი მაშინ, როდესაც ის სრულად ჩანაცვლებულია მეურვის ავტონომიურობით 1290-ე მუხლისა და 1293-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელთა შესაბამისადაც, ქმედუუნარო პირის სახელით ნებისმიერ გარიგებას დებს მეურვე, ხოლო ქმედუუნარო პირის მიერ განხორციელებული რაიმე ტიპის გარიგების დადება გამორიცხებულია, რომც მოხდეს მეურვის მიერ მისი წინაწარი ან შემდგომი თანხმობით გამყარება.

აღნიშნული მუხლებით განხორციელებული შეზღუდვები დაკავშირებულია არჩევანის საშუალებასთან, რომელიც გააჩნია ადამიანს მაშინ, როდესაც ის ახორციელებს ამა თუ იმ კანონით ნებადართულ ქმედებას და, შესაბამისად, სარგებლობს იმ უფლებებით, რაც მას მინიჭებული აქვს. თუ ადამიანი სრულადაა მოკლებული ამ უფლებებს, მაშინ ის მოკლებულია არჩევანის გაკეთების

თავისუფლებასაც. შეუძლებელი ხდება ადამიანის სრულყოფილი განვითარება, ვინაიდან გამორიცხულია პიროვნების ავტონომიურობის ელემენტი. ქმედუუნარო პირის ნების ყოველგვარი გამოვლენა ბათილია 58-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ამ მუხლიდან გამომდინარე ჩანს, რომ კანონი ერთის მხრივ აღიარებს, რომ ქმედუუნარო პირს გააჩნია ნება, თუმცა მეორეს მხრივ აკეთებს ამ ნების სრულ იგნორირებას მაშინ, როდესაც აცხადებს მას ბათილად, უგამონაკლისოდ. შესაბამისად, ყოველგვარი ცვლილების სურვილი, რაც თან ახლავს ადამიანის ცხოვრებას და დაკავშირებულია არჩევანის გაკეთებასთან, რჩება სურვილად მანამ, სანამ ის არ დაემთხვევა მეურვის სურვილს. ამ შემთხვევაში, გამორიცხება ქმედუუნარო პირის მიერ ყოველგვარი ცვლილების განხორციელების შესაძლებლობა. შედეგად, აღარ რჩება ადგილი ქმედუუნარო პირის ავტონომიურობისთვის, ვინაიდან მისი თავისუფლების სფერო სრულად ჩანაცვლებულია მეურვის თავისუფლებით.

ბ.3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილის სიტყვების „აგრეთვე ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეთა“ მიმართება მე-16 მუხლთან

81-ე მუხლის შესაბამისად, ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები. ამ შემთხვევაშიც ხდება კონსტიტუციის მე-16 მუხლით მოცული პიროვნების ავტონომიურობის სფეროს აბსოლუტური გამორიცხვა, კერძოდ, ქმედუუნაროდ აღიარებული პირის უფლებების განხორციელება სრულად გადაბარებული აქვს მეურვეს. ამ შემთხვევაში კანონი არ ითვალისწინებს ისეთი საფრთხეების არსებობას, როგორცაა მეურვის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევები. მაშინ როდესაც ქმედუუნარო პირს არ გააჩნია საკუთარი ინტერესების დაცვის ბერკეტი, მათ შორის სასამართლოსთვის მიმართვის საშუალება, ის უძღურია მეურვის წინაშე, რომელიც მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის ინტერესების შეუსაბამოდ ან მათ წინააღმდეგ მოქმედებს. ასეთ შემთხვევაში, ხდება პირის სრულყოფილი განვითარების შეფერხება, რადგან არ ხდება მისი ინტერესების დასაცავად შესაბამის ქმედებათა განხორციელება და პირი ვეღარ სცდება იმ რეალობას, რომელშიც ის არის გამოკეტილი.

ბ.4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 327-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიმართება მე-16 მუხლთან

327-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კანონი ითვალისწინებს პირის სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარების შესაძლებლობას სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ ქმედუუნარიანობის აღდგენა მოთხოვნილია სასამართლოს მეურვის, ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულების, ოჯახის წევრის განცხადებით ან სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. მე-12 მუხლის მე-6 ნაწილით კი მოცულია 2 შემთხვევა: 1. როდესაც პირი სრულად განიკურნა, 2. როცა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

შესაბამისად, თუნდაც ადამიანს ქონდეს პერიოდულად უნარი, მიიღოს დამოუკიდებლად გადაწყვეტილება ან თუნდაც მას მუდმივად ქონდეს ეს უნარი მცირე მნიშვნელობის საკითხების აღქმისათვის, პირი მაინც ვერ ისარგებლებს ამ სადავო ნორმით და შესაბამისად, მას ვერ აღუდგება ქმედუუნარიანობა. ასეთ შემთხვევაში ადამიანი, რომელიც შეიძლება, რომ კონკრეტულ სფეროებში

განვითარდეს დამოუკიდებლად, აღარ ვითარდება და ეკარგება ყოველგვარი სტიმული, მიიღოს დამოუკიდებლად ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მას ძალუძს, რომ გაიაზროს, ვინაიდან მას უყალიბდება აღქმა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მისი ნება არ არის გადაწყვეტი და მაინც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესია სხვისი ნება. შესაბამისად, პირი არათუ დამოუკიდებლად და სრულყოფილად ვითარდება, არამედ მორალურად უარეს მდგომარეობაშიც აღმოჩნდება, ვინაიდან ქმედუუნაროდ აღიარებული პირი მუდმივად ეჯახება რეალობას, რომ მისი ნებისმიერი არჩევანი შესაძლოა არ იქნეს გათვალისწინებული. შესაბამისად, საკანონმდებლო დონეზე უნდა არსებობდეს მექანიზმი, რომელიც ნაწილობრივად მიანიჭებს ასეთი ტიპის ქმედუუნარო ადამიანებს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას მათი უნარების შესაბამისად.

ბ.5. "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის სიტყვის „ქმედუუნაროსა“ და ამავე კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვა „ქმედუუნაროს“ მიმართება მე-16 მუხლთან აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს პაციენტის უფლებას, მიიღოს თავისი დაავადებისა და განზრახული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია. იგივე მუხლი ადგენს, რომ თუ პაციენტი ქმედუუნაროა ან მას არა აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, ინფორმაცია მიეწოდება პაციენტის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში - ნათესავს. ამავე კანონის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კი, მკურნალობა ქმედუუნარო პირის შემთხვევაში ტარდება მისი კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით, რომელიც დასტურდება სამედიცინო დოკუმენტაციაში პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით.

შესაბამისად, მე-5 მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ქმედუუნარო პირის უფლება, გაეცნოს ინფორმაციას საკუთარ თავზე, სრულად ჩანაცვლებულია მისი მეურვის უფლებით. ანალოგიური ვითარებაა ქმედუუნარო პირის მკურნალობის თვალსაზრისით, რაც გამომდინარეობს მე-10 მუხლის ფორმულირებიდან. აღნიშნული ნორმები ეწინააღმდეგება პირის ავტონომიური და სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობას, ვინაიდან საშუალებას არ აძლევს ასეთ პირს, მონაწილეობა მიიღოს საკუთარ თავთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუნდაც საბოლოო გადაწყვეტილება მისი მისაღები არ იყოს. ქმედუუნარობის შემთხვევაში, მისი ნება აბსოლუტურად კარგავს რელევანტურობას. ამის გამოვლინებაა ისიც, რომ მისთვის ინფორმაციის მიწოდებაც აღარ ითვლება საჭიროდ იმასთან დაკავშირებით, თუ რა დაავადება აქვს და რა მკურნალობის გავლა მოუხდება. ინფორმაციის არქონა თავისთავად განაპირობებს იმას, რომ არათუ ქმედუუნარო პირის ნება არ გაითვალისწინება, მას ნება და სურვილი საერთოდ ვერ ჩამოუყალიბდება (თუნდაც ისეთი, რაც რიგითი გონიერი ადამიანის გადასახედიდან არაადექვატურია), რადგან რაღაცასთან დაკავშირებით პოზიციის შესაქმნელად მისი ცოდნაა საჭირო. ამგვარი ნორმა ქმედუუნარო პირს მეურვის სურვილებსა და ინტერესების მიმართ სრულ დაქვემდებარებაში აქცევს.

ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია, იცოდეს, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება ის როგორც მენტალურად, ასევე ფიზიკურად, ვინაიდან ეს ეხმარება ადამიანს დროსა და სივრცეში ორიენტაციაში. იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი

მოკლებულია იმის საშუალებას, რომ გაეცნოს დამოუკიდებლად ინფორმაციას საკუთარ თავზე და სრულიად დამოკიდებულია ამ საკითხში იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც მიიღებს მისი მეურვე, მაშინ პირის ავტონომიურობა ფიქტიურადაც აღარ არსებობს.

საკუთარ თავზე ინფორმაცია განსაზღვრავს როგორც ადამიანის დამოკიდებულებას საკუთარ თავთან, ასევე ამ ადამიანის ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან, მათ შორის მეურვესთან. როდესაც არ არსებობს ვალდებულება, რომ ქმედუუნარო პირს მისთვის აღსაქმელი საშუალებების გამოყენებით მიეწოდოს ინფორმაცია საკუთარი მდგომარეობისა და მომავალში მისთვის ჩასატარებელი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ, მაშინ შეუძლებელი ხდება მეურვეობას დაქვემდებარებული პირის მიერ საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების შეფასება ადეკვატურად. როდესაც ადამიანი არ იცნობს საკმარისად საკუთარ თავს, მისი სრულყოფილი განვითარება შეუძლებელია, რადგან პიროვნება ვეღარ ახერხებს განვითარებას საკუთარი მდგომარეობის შესაბამისი მიმართულებით. ხოლო იმ პირობებში, როცა ქმედუუნარო პირის ავტონომიურობა სრულად ჩანაცვლებულია მეურვის არჩევანის თავისუფლებით, მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საკითხი, საერთოდ რა ადგილი უჭირავს ამ ურთიერთობებში ქმედუუნარო პირის ნებას.

ბ.6. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით სადავო ნორმების ზემოთხაზოვლილი ნაწილის საერთო პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ქმედუუნარო პირის ცხოვრების ყველაზე პერსონალურ საკითხებთან დაკავშირებით მისი გადაწყვეტილების მიღების უნარი მთლიანად ჩანაცვლებულია მეურვის არჩევანის თავისუფლებით. ნათელია, რომ აღნიშნული კანონმდებლობა ერყმნობა ამოსავალ ვარაუდს, რომ ქმედუუნარო პირს არ შესწევს ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების მენტალური უნარი. თუმცა ერთი მხრივ, ეს ვარაუდი არის თავისთავად არანამდვილი, რადგანაც გადაწყვეტილების მიღების მენტალური უნარი არ წარმოადგენს სიკეთეს, რომელიც ან გაქვს ან საერთოდ არ გაქვს. გადაწყვეტილების მიღების უნარის აკურატული აღქმა იქნებოდა მისი წარმოდგენა კონტინუუმზე, სადაც ადამიანებს გააჩნიათ სხვადასხვა მოცულობის გადაწყვეტილების მიღების უნარი. თავისთავად ეს უნარი ქმედუუნარო ადამიანების შემთხვევაში ბევრად ნაკლებია ქმედუუნარიან ადამიანებთან შედარებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქმედუუნარო ადამიანები სრულიად არ გააჩნიათ ავტონომიური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. ადამიანების დაყოფა ქმედუუნარიანებად და ქმედუუნაროებად, ისე რომ არ არსებობს მენტალური უნარების რაიმე შუალედური კატეგორია, ემსახურება ერთადერთ მიზანს - სახელმწიფოსთვის ყველაზე მარტივად ოპერირებადი რეგულაციური სისტემის შექმნას. და რეგულაციის სიმარტივეს ეწირება ქმედუუნაროდ ცნობილ პირთა ნაწილის უნარი, მიიღონ მათი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

მე-16 მუხლი იცავს ადამიანის პირადის ცხოვრების ყველაზე ბირთვულ ნაწილს - შიდა წრეს, სადაც ადამიანი იღებს მისი ცხოვრებისა და განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფუნდამენტურ გადაწყვეტილებებს. შემცირებული მენტალური უნარების მქონე პირების შემთხვევაში, მე-16 მუხლის რეალიზაციის შესაძლებლობა თავისთავად ნაკლებია. იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფომ შექმნას შესაძლებლობა, რომ პირებს ამ ფარგლებში მაინც ქონდეთ უზრუნველყოფილი ავტონომიური

გადაწყვეტილებების მიღების საშუალება, ის ქმნის მართლწესრიგს, რომელშიც ეს მათი შემცირებული უნარების სრული უფლებდელყოფა ხდება. რეგულირების სიმარტივე თავისთავად არ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურ მიზნად, როდესაც მისი საპირწონე არის ადამიანის, როგორც ავტონომიური სუბიექტის არსებობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ზემოთგანხილული მუხლები არაკონსტიტუციურად უნდა ჩაითვალოს ამ საფუძვლით.

IV. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლთან მიმართებით

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „ექიმს უფლება აქვს, გამონაკლის შემთხვევაში, უსაფრთხოების მიზნით შეზღუდოს პაციენტის ზემოთ აღნიშნული უფლებები, რაც ფიქსირდება სამედიცინო დოკუმენტაციაში“. შესაბამისად, ექიმს შეუძლია, რომ პაციენტს შეუზღუდოს ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული უფლებები, კერძოდ, უფლება, რომ „ა) მიიღოს და გაგზავნოს წერილი, გზავნილის შემოწმების გარეშე; ბ) სტაციონარის შინაგანაწესის თანახმად, ისარგებლოს ტელეფონით და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით; გ) მიიღოს მნახველი ამისათვის განსაზღვრულ დროს და ადგილზე მესამე პირის დასწრების გარეშე; დ) ხანმოკლე ვადით დატოვოს სტაციონარი, სტაციონარიდან გაწერის გარეშე, მისი ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით; ე) შეიძინოს და იქონიოს პირველადი მოხმარების საგნები; ვ) შეასრულოს რელიგიური რიტუალი, თუ იგი არ ლახავს სხვათა უფლებებს; ზ) მიიღოს აუდიო-ვიზუალური ინფორმაცია; თ) მონაწილეობა მიიღოს სტაციონარში გამართულ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში; ი) ისარგებლოს ამ კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული სხვა უფლებებით“.

მოსარჩელე უთითებს, რომ „კონსტიტუციის მე-17 მუხლით ჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცვის უფლება აბსოლიტურია. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული უფლება შეუზღუდავია. სხვა კონსტიტუციური უფლებებისაგან განსხვავებით არ არსებობს რაიმე გამონაკლისი, რაც გაამართლებს აღნიშნული უფლების შეზღუდვას. საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტი შეიცავს იმ კონსტიტუციური უფლებების ჩამონათვალს, რომელთა შეზღუდვის უფლება საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს აქვს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს. მათ შორის არ გვხვდება კონსტიტუციის მე-17 მუხლი, რაც ამ მუხლით აღიარებული უფლების დაცვის აბსოლუტურ ხასიათზე მიუთითებს“.

მოსარჩელის აზრით, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შესაძლებლობას აძლევს ექიმს გამონაკლის შემთხვევაში, უსაფრთხოების მიზნით, სხვა უფლებებთან ერთად შეზღუდოს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გარანტირებული ჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცვის უფლება, ამდენად, სადავო ნორმა ამართლებს არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვის უფლების შეზღუდვას, რაც მას ცალსახად არაკონსტიტუციურად ხდის.

ა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა ადამიანის ღირსებასთან დაკავშირებით

ღირსების უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი ნაწილითაა გარანტირებული. ამავე დროს, მისი მნიშვნელობა განსხვავდება სამოქალაქო–

სამართლებრივი მნიშვნელობისგან. კერძოდ, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე მათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ აღნიშნა,

კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ნორმის შესაბამისად, მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი. ადამიანის ღირსების დაცვა არის ის, რაც უპირობოდ ეკუთვნის ყველა ადამიანს სახელმწიფოსგან... ღირსება ადამიანს აქვს იქედან გამომდინარე, რომ ის ადამიანია და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ გააჩნია საზოგადოების შეხედულებას მასზე, ან მის სუბიექტურ თვითშეფასებას. ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია. სახელმწიფოსთვის ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, პატივისცემის ობიექტი, მთავარი ფასეულობა და არა მიზნის მიღწევის საშუალება და ექსპლუატაციის ობიექტი.

ამავე დროს, ღირსების უფლება ასევე გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს ადამიანის პატივისცემის ვალდებულება გააჩნია.

ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, „ღირსება არ შეიძლება იქნეს განხილული, როგორც მხოლოდ ერთერთი სუბიექტური კონსტიტუციური უფლების ობიექტი. ღირსება არის ის უფლება და ამავე დროს, ის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები. შესაბამისად, ღირსების ხელყოფა, ფაქტიურად, ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების დარღვევას“.

ბ. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა ადამიანის ღირსებასთან დაკავშირებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ღირსების უფლების ამგვარი განმარტების მსგავსია გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, რომელიც ღირსების უფლების ხელყოფას თანასწორობის უფლების ხელყოფასაც უკავშირებს. კერძოდ, როგორც გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, ღირსების უფლება გულისხმობს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, რომ საზოგადოების თითოეული წევრი აღიქვას, როგორც ერთნაირი ფასეულობის მქონე, ხოლო ადამიანის საშუალებად და ინსტრუმენტად გამოყენება ღირსების უფლებას ლახავს. მაგალითად, დაპატიმრების შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს უფლება არ აქვს, რომ დამნაშავე ობიექტად აქციოს დანაშაულთა პრევენციის მიზნით, არამედ პატივი უნდა სცეს მის სოციალურ მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, ადამიანს უნდა მოეპყრონ როგორც სუბიექტს და არა ობიექტს და, როგორც გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, ყოველი ადამიანი თავად წარმოადგენს საბოლოო მიზანს.

ამ მხრივ, იმის შესაფასებლად, დარღვეულია თუ არა ადამიანის ღირსება, გერმანელმა მეცნიერმა გიუნტერ დურიგმა ჩამოაყალიბა ობიექტური ფორმულა, რომლის თანახმად,

ადამიანის ღირსება ილახება, როდესაც კონკრეტული ინდივიდი ობიექტამდე დაიყვანება, რომელსაც შემცირებული ფასეულობა გააჩნია. ღირსების დარღვევა

მოიცავს ადამიანის დაყვანას ნივთამდე, რომელიც შეიძლება, რომ იქნეს თავიდან მოშორებული, დარეგისტრირებული, ჩანაცვლებული, გამოყენებული და გამორიცხული.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, იმისათვის, რომ ღირსების უფლება დაირღვეს, ადამიანის მიმართ მოპყრობა უნდა იყოს უფულვებელმყოფელი, კერძოდ, უნდა ჩანდეს, რომ ადამიანმა დაკარგა ის ფასეულობა, რაც მას იქედან გამომდინარე გააჩნია, რომ იგი ადამიანია. ამასთან, შეუძლებელია, რომ ადამიანმა ღირსების უფლება ვინმეს გადასცეს ან სხვაგვარად დაკარგოს.

გ. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მსგავსი შინაარსი აქვს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-16 მუხლს, რომლის თანახმად, თითოეულ ადამიანს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, უფლება აქვს ცნონ მისი სამართალსუბიექტობა. როგორც მანფრად ნოვაკი აღნიშნავს, წარმოდგენილი უფლების გარეშე ადამიანი სამართლის ობიექტამდე დაიყვანებოდა და აღარ იქნებოდა ადამიანი სამართლებრივი მნიშვნელობით, რადგან სამართალსუბიექტობის აღიარება ყველა სხვა უფლების ქონის აუცილებელი პრერეკვიზიტია. ამავე დროს, ადამიანის უფლებების მატარებლად აღიარება აუცილებლად არ ნიშნავს მისი ქმედუნარიანობის აღიარებასაც, რომელსაც „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-16 მუხლი არ იცავს. შესაბამისად, მე-16 მუხლის დარღვევას არ წარმოადგენს, მაგალითად, არასრულწლოვანებისა და სულიერი აშლილობის მქონე პირთა ქმედუნარობა.

დ. ტესტი

საქართველოს და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკიდან და „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-16 მუხლის განმარტებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ღირსებასთან მიმართებით ჩამოყალიბებულია ტესტი, რომლის თანახმად, იგი დარღვეულად ჩაითვლება, თუ სახეზე „სამოქალაქო სიკვდილი“ გვექნება, ანუ მდგომარეობა, როდესაც ადამიანს ჩამორთმეული აქვს უფლება, რომ უფლებების მატარებელი იყოს და წარმოადგენს სამართლის ობიექტს და არა სუბიექტს.

ე. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მესამე ნაწილის არაკონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან მიმართებით იმისათვის, რომ დავადგინოთ, არღვევს თუ არა „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მესამე ნაწილი ადამიანის ღირსებას, უკვე დადგენილი ტესტი უნდა გამოვიყენოთ. კერძოდ, დასადგენია აქცევს თუ არა აღნიშნული ნორმა ადამიანს სამართლის ობიექტად და ართმევს თუ არა მას უფლებას, რომ უფლებების მატარებელი იყოს.

უფლების შემზღუდველი ნორმა არ უნდა იყოს ბუნდოვანი და არ უნდა იძლეოდეს მისი ორგვარი განმარტების შესაძლებლობას. ამის საწინააღმდეგოდ, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მესამე ნაწილის ფორმულირებიდან არ ჩანს კონკრეტულად რომელი საგამონაკლისო

შემთხვევა იგულისხმება მასში, რადგან უსაფრთხოების მიზნით განხორციელებული საგამონაკლისო შემთხვევის ცნება ბუნდოვანია. შესაბამისად, ჩნდება საფრთხე, რომ კანონის ბუნდოვანების პირობებში ექიმმა თვითნებურად შეზღუდოს პაციენტის უფლებები უსაფრთხოების აბსტრაქტულ მიზანზე მითითებით.

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ექიმს განსაკუთრებულ შემთხვევაში უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, შეუძლია, რომ პაციენტს ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული უფლებები შეუზღუდოს. შესაბამისად, შეიძლება მივიღოთ შემთხვევა, როდესაც ადამიანს არ ექნება უფლება, რომ მიიღოს და გაგზავნოს წერილი, გზავნილის შემოწმების გარეშე; სტაციონარის შინაგანაწესის თანახმად, ისარგებლოს ტელეფონით და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით; მიიღოს მნახველი ამისათვის განსაზღვრულ დროს და ადგილზე მესამე პირის დასწრების გარეშე; ხანმოკლე ვადით დატოვოს სტაციონარი, სტაციონარიდან გაწერის გარეშე, მისი ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით; შეიძინოს და იქონიოს პირველადი მოხმარების საგნები; შეასრულოს რელიგიური რიტუალი, თუ იგი არ ლახავს სხვათა უფლებებს; მიიღოს აუდიო-ვიზუალური ინფორმაცია; მონაწილეობა მიიღოს სტაციონარში გამართულ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში; ისარგებლოს ამ კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

რა თქმა უნდა, წარმოდგენილი უფლებებიდან ერთ-ერთის ან რამდენიმეს შეზღუდვით პაციენტის ღირსება შეიძლება არ შეილახოს. მეტიც, ჩამოთვლილი უფლებებიდან რამდენიმეს გამოყენებაზე შეზღუდვას თავად „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მეორე ნაწილი აწესებს, როდესაც ამ უფლებებით სარგებლობას უშვებს „სტაციონარის შინაგანაწესის თანახმად“, „მისი ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით“ და „თუ იგი არ ლახავს სხვათა უფლებებს“. აღნიშნული ფრაზები კანონში მიუთითებს რომ მოცემულ უფლებებს შეზღუდული ხასიათი აქვთ. ასევე საყურადღებოა „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მეორე ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, „სტაციონარში მოთავსებულ პაციენტს უფლება აქვს ისარგებლოს ამ კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული სხვა უფლებებით“. ამ მხრივ, მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „პაციენტს უფლება აქვს ისარგებლოს ჰუმანური მოპყრობით, რომელიც გამორიცხავს მისი ღირსების შემლახავ ყოველგვარ მოქმედებას“. მაგრამ „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მესამე ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ ექიმს პაციენტის ამ უფლების შეზღუდვაც შეუძლია იმ განსაკუთრებულ შემთხვევაში, რომლის ზუსტი ფორმულირებაც უცნობია. შესაბამისად, გამოდის, რომ ექიმს შეუძლია პაციენტს უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე შეუზღუდოს ჰუმანური მოპყრობის უფლება.

ამის გარდა, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მესამე ნაწილი საშუალებას აძლევს ექიმს, რომ სტაციონარში მოთავსებულ პაციენტს ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ყველა უფლება ერთიანად შეუზღუდოს, რის შედეგად პაციენტი, პრაქტიკულად, ყოველგვარი უფლებების გარეშე რჩება, რაც მას ნივთის მდგომარეობაში აყენებს. ამდენად, იგი სამართლის ობიექტი და არა სუბიექტი ხდება.

როგორც ცალკე აღებული ჰუმანური მოპყრობის უფლების შეზღუდვა, ასევე მის გარდა ყველა სხვა ჩამოთვლილი უფლების ერთიანად შეზღუდვა ადამიანს სამართლის ობიექტად აქცევს, რომელსაც პრაქტიკულად, არანაირი მოქმედების შესრულება არ შეუძლია. მართალია, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მესამე ნაწილში საუბარია მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაზე, კონკრეტულად რა იგულისხმება მასში საკმაოდ ბუნდოვანია და სხვადასხვაგვარი განმარტების საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე, რადგან არსებობს საფრთხე, რომ საგამონაკლისო შემთხვევის დადგომის დროს პირი გახდება საშუალება მიზნის მისაღწევად და სამართლის მიღმა არსებული ობიექტის მდგომარეობაში ჩავარდება, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მესამე ნაწილი არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან მიმართებით.

V. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლთან მიმართებით

მოსარჩელები ირაკლი კომეკლიძე და დავით ხარაძე კონსტიტუციის 18 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით, სადავოდ ხდიან ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობას შემდეგი მიზეზების გამო:

- სტაციონალური ფსიქიატრიული დახმარების შემთხვევაში ხდება პირის მოთავსება სტაციონალურ დაწესებულებაში და მას ეზღუდება გარე სამყაროსთან კომუნიკაციის შესაძლებლობა. კერძოდ მას არ შეუძლია წერილის გაგზავნა და მიღება, ტელეფონითა და საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობა და სხვა უფლებები.

- ქმედუუნარო პირისთვის თავისუფლების აღკვეთა ხდება მისი ნების საწინააღმდეგოდ იმ შემთხვევაშიც, თუ მას აქვს საკმარისი უნარი, მიიღოს გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით.

- 17 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად სტაციონარში ნებაყოფლობითი მკურნალობისთვის მოთავსებული პაციენტის გაწერა ხდება პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნით, თუმცა გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია პაციენტის მონაწილეობა მისი ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. შესაბამისად, თუ პაციენტს შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს ფსიქიატრიული დახმარების შეწყვეტის შესახებ, გაუგებარია, რატომ არ შეიძლება მას ჰქონდეს შესაძლებლობა, ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, გამოხატოს თავისი ნება სტაციონარში ნებაყოფლობითი დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

ადამიანს გააჩნია კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფალი გადაადგილების და ზოგადად თავისუფლების უფლება. თუმცაღა აღნიშნული უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და იგი შეიძლება შეიზღუდოს, მაგრამ აღნიშნული შეზღუდვაც კანონით გათვალისწინებული წესით უნდა განხორციელდეს. როდესაც ვსაუბრობთ იმ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვაზე, რომელიც მენტალური შეზღუდვის გამო გამოცხადებულ იქნა ქმედუუნაროდ, აუცილებელია მოხდეს დიფერენცირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შორის. სხვადასხვა უნარების მქონე ადამიანების მიმართ თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვა ვერ იქნება გამართლებული.

პირველ რიგში გავარკვიოთ რას მოითხოვს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი და ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი. ორივე სამართლებრივი ნორმის მიზანია დაიცვას პირის უფლებები, ისე რომ ეს უფლებები არ იქცეს მხოლოდ და მხოლოდ თეორიულ და პრაქტიკაში არაგამოყენებად უფლებებად. ადამიანის თავისუფლება ამავდროულად მისი უსაფრთხოების გარანტიასაც წარმოადგენს, სწორედ ამიტომ უკანონო თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება გახდეს ამ პირის მიმართ უსაფრთხოების ზომების დარღვევის საფუძველიც. საქმეში მანსური თურქეთის წინააღმდეგ (Mansur v turkey) ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გააკეთა განმარტება, რომ საჭირო არის დადასტურება იმისა თუ რატომ, რა დროის განმავლობაში უნდა ჰქონდეს პირს აღკვეთილი თავისუფალი გადაადგილების უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება უხეში დარღვევა ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებისა. ამავდროულად სასამართლომ დაადგინა რომ მართალია კანონმდებლობის შესაბამისად უნდა ხდებოდეს თავისუფლების აღკვეთა თუმცა თავად ეს კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებს და იცავდეს პირს თვითნებობისგან. საჭიროა, რომ ყოველ კონკრეტულ ადამიანზე ინდივიდუალურად გადაწყდეს თავისუფლების აღკვეთის საკითხი. საქმეში სტილი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Steel v. the United Kingdom) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ არ შეიძლება პირს აღვუკვეთოთ თავისუფლება თუ არ გვაქვს საფუძველად მისი საშიშროება, რომ ეს ადამიანი შეუქმნის გარშემომყოფთ საფრთხეს. საჭირო არის ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტიზის ჩატარება და მხოლოდ შემდგომ გადაწყვეტილების მიღება.

საქმეში ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Winterwerp v. the Netherlands) ევროპის სასამართლომ ჩამოაყალიბა კრიტერიუმები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ფსიქიატრიული ავადმყოფისთვის თავისუფლების აღკვეთისას, რათა ის არ ჩაითვალოს თვითნებურად:

- ფსიქიკური მოშლილობა დადგენილი უნდა იყოს ობიექტური სამედიცინო ექსპერტიზით;
- ფსიქიკური მოშლილობის ხასიათი ან ხარისხი საკმარისად ექსტრემალური უნდა იყოს, რომ გაამართლოს დაკავება;
- დაკავება უნდა გრძელდებოდეს მხოლოდ იმდენი ხნის განმავლობაში, რასაც სამედიცინო მოშლილობა და მისი სიმძიმის ხასიათი მოითხოვს;
- იმ შემთხვევაში, როდესაც დაკავების ვადა განუსაზღვრელია, ავადმყოფის მდგომარეობას პერიოდულად უნდა განიხილავდეს ის სასამართლო, რომელსაც ექნება პირის გათავისუფლების უფლებამოსილება;
- ავადმყოფი უნდა მოთავსდეს იმ საავადმყოფოში, კლინიკაში ან სხვა შესაბამის დაწესებულებაში, რომელშიც ნებადართულია აღნიშნული პირების მოთავსება.

მნიშვნელოვანია გადავხედოთ ქართულ პრაქტიკასაც, თუ როგორ ხდება 18 მუხლის განმარტება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ და რა იგულისხმება ამ უფლებაში. კონსტიტუციის 18 მუხლი რეზიდუალურ მუხლს არ წარმოადგენს, ანუ ის თავის თავში არ მოიცავს ყველა იმ თავისუფლებას, რაც კონსტიტუციის მეორე თავის სხვა მუხლებში არ არის მოცემული (რელიგიის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება და სხვა).

გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სასამართლომ აღნიშნა რომ მე-18 მუხლი გულისხმობს ფიზიკურ თავისუფლებას, იმისთვის რომ პირი გადაადგილდეს ან არ გადაადგილდეს მისი სურვილის შესაბამისად. ადამიანის თავისუფლება არის მისი გადაადგილების თავისუფლება ვიწრო გაგებით. ამავე სასამართლო გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა რომ ამ მუხლის მიზანთაგანია ადამიანის დაცვა სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობისაგან და სწორედ ამიტომ არის დაწესებული მკაცრი კონსტიტუციური მოთხოვნები.

სადავო ნორმა საკმაოდ ფართო განმარტების საშუალებას იძლევა, მასში მცირე გარანტიებია ადამიანის თავისუფლების დასაცავად მოცემული. ნებისმიერ დროს შეიძლება მეურვეობის უფლების მქონე პირმა მოათავსოს ქმედუუნარო საავადმყოფოში, რაც არსებული კანონმდებლობის მიხედვით იძლევა თავისუფლების აღკვეთისთვის დადგენილი პროცედურული გარანტიების გვერდის ავლის საშუალებას, რაც თავისთავად გზას უხსნის მეურვის თვითნებობას.

იძულებით მკურნალობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე პლესო უნგრეთის წინააღმდეგ . მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი არანებაყოფლობითი მოთავსების გამო სამკურნალო დაწესებულებაში ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით, დაირღვა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი. სასამართლომ აღნიშნა, რომ ფსიქიატრიულ კლინიკაში მოთავსება არის პიროვნებისათვის თავისუფლების ჩამორთმევა და ეს უნდა მოხდეს კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით. აღნიშნა, რომ ტერმინები „კანონიერი“ და „სამართლის მიხედვით“ მიუთითებს ქვეყნის შიდა კანონმდებლობაზე. თავისუფლების ჩამორთმევა უნდა იყოს ქვეყნის შიდა კანონმდებლობის მიხედვით. ის უნდა იყოს ადეკვატური და სამართლიანი და არა თვითნებური სახელმწიფოს მხრიდან. თუმცა კანონიერების მოთხოვნა არ გულისხმობს მხოლოდ ქვეყნის შიდა კანონმდებლობის მიხედვით მოქმედებას. თავად შიდა კანონმდებლობა ჰარმონიაში უნდა იყოს კონვენციასთან და მასში გამოხატულ პრინციპებთან, რაც დაკავშირებული არის სამართლის უზენაესობასთან, სამართლიან და ადეკვატურ პროცედურებთან.

სასამართლომ სამი მინიმალური მოთხოვნა დაასახელა იძულებითი მკურნალობისათვის. ესენია: 1. პიროვნების გონებრივი მდგომარეობა უნდა დადგინდეს კომპეტენტური ორგანოს წინაშე ობიექტური ექსპერტიზის მიერ. 2. დაავადება იმ ხარისხის უნდა იყოს, რომ შესაძლებელი იყოს პაციენტის იძულებითი მკურნალობა 3. იძულებითი მკურნალობის გაგრძელება დაკავშირებული უნდა იყოს დაავადების გახანგრძლივებასთან.

ამ საქმეში სასამართლომ გადაწყვიტა შეეფასებინა რამდენად საკმარისი მტკიცებულებები ჰქონდა ნაციონალურ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დროს. ტესტი უფრო მკაცრი არის, თუკი პირის დაკავება მოხდა გადაუდებელი მკურნალობის გამო. ინდივიდის დაკავება იმდენად სერიოზული ნაბიჯი არის, რომ ამოწურული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშუალება ამ პიროვნების სამკურნალოდ და მისი იძულებითი მკურნალობა დაკავშირებული უნდა იყოს საჯარო და ამ პირის ინტერესთან. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ უნგრეთის უზენაეს სასამართლოს არ განუმარტავს თუ რას გულისხმობდა ის პაციენტის ქცევის „მნიშვნელოვან საფრთხეში“. შედეგად წარმოიქმნა არასახარბიელო

ვაკუუმი. სასამართლოს აზრით პაციენტის მდგომარეობის სამართლიანი და ადეკვატურ შემოწმება საეჭვო იყო, რადგანაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ექსპერტმა დაადგინა სასამართლო პროცესის 40 წუთიან შესვენებაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ პაციენტის ქცევა არ შეიცავდა არც საკუთარი თავისთვის ან არც სხვებისათვის რაიმე საფრთხეს. კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა მისი ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხე. სასამართლომ აღნიშნა, როდესაც ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხე არსებობს სახელმწიფომ უფრო ფრთხილი ზომები უნდა გამოიყენოს პაციენტთან მიმართებით და ნებისმიერი კონვენციური უფლების შეზღუდვა უნდა მოხდეს საკმარისი საფუძლის გამო, განსაკუთრებით თუ საქმე ეხება ისეთ მოწყველად ჯგუფს, როგორც არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ პაციენტის მდგომარეობა და დაავადების ხარისხის არ ქმნიდა მისი იძულებითი მკურნალობის აუცილებლობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ იძულებითი მკურნალობის დროს აუცილებელია დაცული იყოს პროპორციულობის მოთხოვნა - ერთის მხრივ საზოგადოების პასუხიმგებლობასთან მიმართებით, რომ დაიცვას მისი წევრის ჯანმრთელობა და სიცოცხლე და მეორეს მხრივ ინდივიდის ხელშეუხებელ თვითგანვითარების უფლებასთან, რომ საკუთარი ნებით გადაწყვიტოს სურს თუ არა მას მკურნალობა და ჰოსპიტალში მოთავსება. აუცილებელია დაცული იყო ბალანსი ამ ორ საკითხს შორის. სასამართლომ ვერ დაინახა, რომ ამ საქმეში დაცული იყო აღნიშნული ბალანსი. მან აღნიშნა, რომ როდესაც საუბარია თავისუფლების შეზღუდვაზე, სახელმწიფოს მოქმედების თავისუფლება არ უნდა იყოს ფართო. მეტიც, როგორც გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა იძულებითი მკურნალობა ჰოსპიტალში მოთავსებით უნდა იყოს ბოლო გზა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ პაციენტს არ ჩატარებია ფსიქიატრიული მკურნალობა სანამ მისი იძულებითი ჰოსპიტალიზირება მოხდებოდა. ნაციონალური სასამართლოს მიერ მისი უარი მკურნალობაზე აღქმული იყო ისე, რომ მას არ ჰქონდა საკმარისი აზროვნების უნარი, რათა თანხმობა განეცხადებინა მკურნალობაზე. თუმცა სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ეს უარი შეიძლებოდა გამოწვეული ყოფილიყო პაციენტის თვითგანვითარების უფლებიდან გამომდინარე და რომ მას უფლება ჰქონდა უარი ეთქვა მისთვის არასასურველ მკურნალობაზე. არ ყოფილა ნაციონალური სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული რა სამედიცინო სარგებელი შეიძლება მოჰყოლოდა მის მკურნალობას, შეიძლებოდა თუ არა მკურნალობა ჰოსპიტალიზირების გარეშე და აგრეთვე მისთვის მომვლელის დანიშვნა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თავისუფლების ჩამორთმევის დროს არ ყოფილა ყველა შესაბამისი ფაქტორი და ალტერნატივა გათვალისწინებული. ასევე აღნიშნა, რომ ნაციონალური კანონმდებლობით გათვალისწინებული არ იყო პაციენტის დაკვირვების ქვეშ ყოფნა გარკვეული დროით. ამიტომაც ჩაითვალა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლი. VI. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლთან მიმართებით

ა. ქორწინების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლით დაცულია ქორწინების უფლება. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სალომე წერეთელი-სტივენსონის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში მიუთითა: „კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი მრავალმხრივი მნიშვნელობის ნორმაა. კონსტიტუციურ დონეზეა დაცული და განმტკიცებული ისეთი ტრადიციული და სასიცოცხლო მნიშვნელობის ინსტიტუტები და ფასეულობები, როგორცაა ქორწინება და ოჯახი.“ სასამართლოს განცხადებით, კონსტიტუცია იცავს ქორწინებისა და ოჯახის ინტიტუტებს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მოქმედებებისგან, რაც ხელყოფდა და გამოფიტავდა მათ არსს, მნიშვნელობას, უმთავრეს პრინციპებს. კონსტიტუციის 36-ე მუხლი სასამართლომ ძირითადი უფლების დამდგენ ნორმადაც მიიჩნია: „ქორწინება და ოჯახი ადამიანის პირადი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ამ სფეროში ინდივიდის თავისუფლების ხარისხი განსაკუთრებით მაღალია. სწორედ პიროვნული თავისუფლებისა და თავისუფალი განვითარების უფლების გამოხატულება და ნაწილია ქორწინების თავისუფლება. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი გარდა ინსტიტუციური გარანტიისა, ძირითადი უფლების დამდგენი ნორმაცაა.“ შესაბამისად, ქორწინება, როგორც უფლება ყველა პიროვნებაზე უნდა გავრცელდეს, ყველა პირს უნდა შეეძლოს ამ უფლებით სარგებლობა.

ადამიანის ევროპული კონვენციის 12-ე მუხლი ადგენს, რომ ყველა ქალსა და კაცს, რომლებიც მიღწეულნი არაინ ქორწინების ასაკს, უფლება აქვთ დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი, ნაციონალური კანონებით დადგენილი წესის მიხედვით.

12-ე მუხლი მიუხედავად იმისა, რომ ადგენს ქორწინების უფლებას, ასევე აწესებს შეზღუდვას იმით, რომ სახელმწიფოს დისკრეციას ანიჭებს ამ ურთიერთობის ნაციონალური კანონებით მოწესრიგებისთვის. თუმცა შეზღუდვა არ უნდა იყოს ისეთი, რომ უფლებამ არსი დაკარგოს. არ შეიძლება ადამიანს უფლება ჩამოვართვათ ისე, რომ არ შევამოწმოთ შეუძლია თუ არა მას ამ უფლებით იმგვარად სარგებლობა, რომ სხვას ან საკუთარ თავს ზიანი არ მიაყენოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 36-ე მუხლის, როგორც ქორწინების უფლების დამდგენი ნორმის განმარტებიდან და ასევე, ევროპული კონვენციის 12-ე მუხლიდან ნათლად ჩანს, რომ ყველა პიროვნებას აქვს უფლება დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი. სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ „დაუშვებელია დაბროკოლებების შექმნა სახელმწიფოს მხრიდან დაქორწინების მსურველთათვის არაპროპორციული და დემოკრატიული საზოგადოებისათვის მიუღებელი, ხელისშემშლელი ჩარევის გზით.“

საქართველოს კანონმდებლობით, ქორწინების დამაბროკოლებელ გარემოებად ითვლება, როდესაც დასაქორწინებელ პირთაგან ერთ-ერთი მაინც აღიარებულია ქმედუუნაროდ. აღნიშნული თავისი შინაარსით წარმოადგენს უფლების შეზღუდვას. კანონის მიხედვით, ქმედუუნარო პირს ენიშნება მეურვე, რადგან პირის ქმედუუნაროდ ცნობით, მიიჩნევენ, რომ ასეთ პირს არ აქვს შესაძლებლობა ნათლად გამოხატოს ნება და გაიაზროს იგი. მეურვეობის სისტემა კი გულისხმობს სამეურვეო პირის ნების მეურვის ნებით ჩანაცვლებას. ქორწინებისთვის კი აუცილებელია ორი წინაპირობა კერძოდ, ა) დასაქორწინებელ პირთა თანხმობა და ბ) მათ მიერ საქორწინო ასაკის მიღწევა. დასაქორწინებელ პირთა თანხმობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, პირადად დასაქორწინებელი პირების მიერ უნდა იყოს გამოხატული. აქედან

გამომდინარე, არ დაიშვება ქორწინება კანონისმიერი წარმომადგენლის ან რწმუნებულის მეშვეობით. შესაბამისად, ქორწინების პერსონალური ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია მეურვის მეშვეობით ქორწინების წარმოშობისთვის საჭირო ნების გამოვლენა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქმედუუნარო პირს თავისთავად ჩამორთმეული აქვს ქორწინების უფლება.

ქორწინება წარმოადგენს პიროვნების პირადი სფეროს ნაწილს. ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი იცავს ოთხ სფეროს: პირადი ცხოვრება, ოჯახი, სახლი და მიმოწერა. შესაბამისად, თუ ქორწინება არის პირადი ცხოვრების ნაწილი, მაშინ ქორწინების უფლებაც არის პირადი ცხოვრების უფლების ნაწილი. აქედან გამომდინარე, ევროპული კონვენციის მე-12 მუხლთან ერთად, ასევე უნდა გამოვიყენოთ მე-8 მუხლი. დაუშვებელია პიროვნების პირად სფეროში ჩარევა, თუ იგი არ ემსახურება საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ეროვნული უშიშროების, უწყსრიგობის, ჯანმრთელობის, სხვა უფლებათა დაცვას და ა.შ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ხელყოფილი სიკეთისა და დაცული სიკეთის პროპორციულობა იქნას შენარჩუნებული. პიროვნებისთვის ქმედუუნარიანობის ჩამორთმევით, ავტომატურად ხდება პირად სფეროში ჩარევა და ფუნდამენტური უფლებების გაუქმება, მათ შორის ქორწინების და ოჯახის შექმნის უფლებისა. ქმედუუნაროდ ცნობით ავტომატურად დაქორწინების უფლებების ჩამორთმევას ლეგიტიმური მიზანი უნდა ჰქონდეს, და როგორც თვითონ ამ კონკრეტული პირის, ისე სხვების სიკეთის დაცვას უნდა ემსახურებოდეს. ქმედუუნარო პირის ინტერესებსა და გარეშე პირთა ინტერესებს შორის ბალანსი უნდა შენარჩუნდეს.

ქორწინების უფლების შეზღუდვაზე საუბრისას აუცილებელია შევხებით ქმედუუნაროდ ცნობის ინსტიტუტს და იმ კრიტერიუმებს, რომელს მიხედვითაც ესა თუ ის პირი გაურკვეველი დროით კარგავს ყველა მნიშვნელოვან უფლებას და ეზღუდება მოქმედების თავისუფლება ყველა სფეროში.

სამოქალაქო კოდექსის 12-ე მუხლის 5 ნაწილის მიხედვით, ქმედუუნაროდ მიიჩნევა პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნება აღიარებული. პირისთვის ქმედუუნარიანობის ჩამორთმევა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პირს არ ესმის, ვერ აანალიზებს და ვერ აკონტროლებს თავის ქმედებებს. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ კანონით არ არის განსაზღვრული მაინცდამაინც რა ქმედებებს უნდა აანალიზებდეს, და რამდენად კომპლექსურ ქმედებებზეა ამ შემთხვევაში საუბარი. კანონი ცნობს 3 სახის ქმედუუნარიან პირებს: სრული ქმედუუნარიანი, შეზღუდულ ქმედუუნარიანი და ქმედუუნარო. შეზღუდულ ქმედუუნარიან პირებად მიიჩნევიან მხოლოდ 7-18 წლამდე და ზრდასრული პირები, რომლებიც მოიხმარენ ალკოჰოლურ და ნარკოტიკულ ნივთიერებებს. შესაბამისად, თუ საქმე გვაქვს ისეთ ზრდასრულ ადამიანებთან, რომლებიც ალკოჰოლურ ან ნარკოტიკულ საშუალებებს არ მოიხმარენ, უნდა გადავწყვიტოთ როგორ შევრაცხოთ ეს პიროვნება: სრულ ქმედუუნარიანად თუ ქმედუუნაროდ. საბოლოოდ, გვაქვს 2 პოლუსი, და არაფერი შუალედური. როგორც აღვნიშნე, პირის ქმედუუნაროდ გამოცხადება ხდება მაშინ, როდესაც პირი ვერ აკონტროლებს და აანალიზებს თავის ქმედებებს. რა ხდება მაშინ, როდესაც პიროვნება მხოლოდ კონკრეტულ სფეროში არ შეუძლია ნების გამოხატვა? იქიდან გამომდინარე, რომ შუალედური ქმედუუნარიანობა არ არსებობს, ეს პიროვნებაც უნდა ვაღიაროთ ქმედუუნაროდ. შესაბამისად, კანონი ქმედუუნარიანობის სრული ჩამორთმევით ზღუდავს ამ ადამიანის მოქმედებას

აბსოლუტურად ყველა სფეროში. ქმედუნარიანობის ჩამორთმევით პირს არ შეუძლია აღარცერთ სფეროში მოქმედება: არ შეუძლია არაფრის ყიდვა ან გაყიდვა, მუშაობა, მოგზაურობა, საცხოვრებლის არჩევა, დაქორწინება და ა.შ. მისი თავისუფლებაც კი შესაძლებელია შეზღუდული იქნას მეურვის მიერ, მაგ საავადმყოფოში მისი ნების საწინააღმდეგოდ გამოკეტვით. ამას გარდა, ქმედუნარო პირები ხშირად ხდებიან პირად ცხოვრებაში ჩარევის ობიექტები. ისინი ვალდებულები არიან აიტანონ ხშირი ჩარევა პირად სფეროში (ექიმები, პერსონალური ასისტენტები და ა.შ) პირველ რიგში მეურვის მხრიდან. შესაბამისად, ქმედუნარიანობის ჩამორთმევა პირდაპირ კავშირშია პირადი ცხოვრების შეზღუდვასთან. ქმედუნაროდ გამოცხადების შედეგად პირი მთლიანად დამოკიდებული ხდება მეურვეზე. კანონი ვერ იცავს ქმედუნარო პირების პირადი ცხოვრების უფლებას, რომელიც დაცული სიკეთეა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით, და დაუშვებელია მისი შეზღუდვა თუ იმავე მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული შემთხვევებთან არ გვაქვს საქმე. არ შეიძლება და დაუშვებელია ქმედუნარიანობა შეზღუდული იყოს იმაზე მეტად ვიდრე საჭიროება მოითხოვს, რადგან ეს დაარღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.

ქორწინების უფლების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ქმედუნარიანობის ქონის შემთხვევაში. უსამართლობაა, როდესაც შუალედური ქმედუნარიანობის უქონლობის გამო, ყველა პიროვნება, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო შეეზღუდათ ქმედუნარიანობა, იმყოფება ერთ სიბრტყეში, სამართლებრივ „შავ ხვრელში“. კანონი ყველა ქმედუნაროს მიმართ ერთნაირია, თუმცა ყველა ქმედუნარო ერთნაირი არ არის. ქმედუნარო პირებს შორის ზოგს შეუძლია გარკვეულ სფეროში გააზრებული ნების გამოხატვა, ზოგს კი საერთოდ არ შეუძლია ნების გამოხატვა, შესაბამისად დისკრიმინაციასთან გვაქვს საქმე. როდესაც ქმედუნარობის გამო პიროვნებას ვუზღუდავთ ქორწინების უფლებას, იქნებ ეს ის პიროვნებაა, რომელსაც სწორედ ამ სფეროში შეუძლია გააზრებული და ნათელი ნების გამოხატვა? აუცილებელია, რომ არსებობდეს ინსტიტუტი, რომელიც მოაწესრიგებს ქმედუნარიანობის ჩამორთმევას იმგვარად, რომ ადამიანის უფლებები არაპროპორციულად არ შეიზღუდოს.

შესაძლებელია, რომ მოსამართლეს მივცეთ შესაძლებლობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად განსაზღვროს პიროვნებას, რომლის ქმედუნარიანობის საკითხსაც იხილავს, ჩამოართვას თუ არა სრულად ქმედუნარიანობა და შეუზღუდოს მას ყველა უფლება, თუ იმჯელოს გარკვეული უფლებების შენარჩუნებაზე, მაგალითად ქორწინების უფლებაზე, რადგან თვლის რომ ამ პიროვნებას აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს და ისარგებლოს ქორწინების უფლებებით, რადგან აქვს შესაძლებლობა გაიაზროს ქორწინების უფლების არსი. აღნიშნული დაგვეხმარება, გამოვააშკარაოთ ის პირები, რომლებსაც ზოგიერთ სფეროში შეუძლიათ ნების გამოხატვა და არ შევზღუდოთ მათი თავისუფლება. აღნიშნული ინსტიტუტის საშუალებით, შევძლებთ ყველა პიროვნებას მივცეთ საშუალება გამოიყენოს ის უფლებები და თავისუფლებები, რომელთა გააზრება და კონტროლიც მათ შეუძლიათ, ასევე შევძლებთ როგორც ნებელობის არმქონე პირების დაცვას, ისე ნაწილობრივ ქმედუნაროების უფლებების უსაფუძვლო შესზღუდვის მოსპობასაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირს რომელსაც შეუძლია ქორწინების უფლების არსის გააზრება და ამ უფლების გამოყენება, უსაფუძვლოდ და უსამართლოდ ვუზღუდავთ აღნიშნულ უფლებას. დაუშვებელია,

პიროვნებას შეუზღუდო თავისუფლება იმ სფეროში, რომელშიც მას შეუძლია გამოხატოს ნება და გაანალიზოს საკუთარი ქმედება.

შესაბამისად, თუკი პირს არ შეუძლია გაიაზროს ქორწინების არსი, არ ძალუძს გააზრებული ნების გამოხატვა და მეუღლესთან ურთიერთობა, არ შეიძლება მივცეთ ქორწინების უფლება, რადგან შესაძლებელია აღნიშნული მის წინააღმდეგვე იქნას გამოყენებული და გარკვეული ზიანიც მიაყენოს პირს.

ქორწინებისთვის მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს თავისუფალი და გააზრებული ნება ორივე პირის მხრიდან. ეს წესი განმტკიცებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულების 23-ე მუხლში. ამ მუხლის მეოთხე პუნქტის მიხედვით მეუღლეებს შორის უფლებრივი და პასუხისმგებლობის თანასწორობის შესანარჩუნებლად, აუცილებელია მიღებულ იქნას საჭირო ზომები.

ქორწინების პერიოდში მეუღლეებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები და პასუხისმგებლობები. თანასწორობა ვრცელდება ყველა საკითხზე ურთიერთობიდან გამომდინარე, მაგალითად საცხოვრებლის არჩევა, ოჯახის მართვა, ბავშვების განათლება, ქონების (საკუთრების) მართვა. შესაბამისად, აუცილებელია, რომ პირს, რომელიც იყენებს ქორწინების უფლებას, გააზრებული ჰქონდეს თვით ქორწინების არსი, რადგან ქორწინებას თან ახლავს მრავალი პასუხისმგებლობა. ამიტომ ქმედუუნარო პირს, რომელსაც სურს დაქორწინდეს, სრულად უნდა შეეძლოს ამ ყოველივეს ანალიზი და ჰქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს იგი. იმის ნაცვლად, რომ ყველა ქმედუუნარო პირს განურჩევლად შესაძლებლობებისა ჩამოვართვათ ქორწინების უფლება, უნდა გამოვიკვლიოთ ყოველი პირის ქმედუუნარიანობა და მისი შესაძლებლობები და იმის მიხედვით, პროპორციულად შევზღუდოდ მას უფლებები. აღნიშნული დაგვეხმარება ბალანსის შენარჩუნებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ვიღებთ რეალობას, როდესაც ყველა პოტენციურ ქმედუუნარო პირს განურჩევლად ვუზღუდავთ ერთ-ერთ ძირითად უფლებას, ქორწინების უფლებას, იმ მოტივით, რომ დავიცვათ მისი და მის გარშემო მყოფების ინტერესები. თუმცა რეალურად, შეზღუდული უფლებები გადაწონის დაცულ ინტერესებს, რადგან როდესაც პირს, რომელსაც შეეძლო ქორწინების არსის გააზრება და ამ უფლებით სარგებლობა, შევზღუდავთ უფლებას, სახეზეა ერთი შეზღუდული უფლება, ხოლო დაცული ინტერესი საერთოდ არ გვაქვს, რადგან იმის გამო რომ ამ ქმედუუნარო პირს უფლების არსი ესმის და უფლებას იაზრებს, იგი არც საკუთარ თავს მიაყენებდა ზიანს და არც სხვას.

საბოლოოდ, დაუშვებელია ქორწინების უფლების, როგორც პირადი ცხოვრების ნაწილის შეზღუდვა, თუ არ არსებობს აუცილებელი გარემოებები, როგორცაა საზოგადოებრივი უსაფთხოება, მესამე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების და პირის ჯანმრთელობის დაცვა. აუცილებელია, რომ ყოველი შეზღუდვა, პროპორციული იყოს დაცული სიკეთისა. ქმედუუნაროებში ქორწინების უფლების შეზღუდვა დასაშვებია, თუ იგი საშუალებას მისცემს მესამე პირებს უხეზად დაადვიონ ქმედუუნარო პირის უფლებები, შესაბამისად თავდაცვის მიზნით, შესაძლებელია შეიზღუდოს ქორწინების უფლება, თუ თვითონ ქმედუუნარო პირს არ აქვს შესაძლებლობა გაანალიზოს არსებული სიტუაცია და ადეკვატური ქმედება განახორციელოს. სხვა შემთხვევებში, აუცილებელია, რომ ბალანსი არ იქნას დარღვეული და არ მოხდეს იმ პირების დისკრიმინაცია, ვისაც შესაძლებლობა აქვს და სურს ქორწინება.

ქმედუუნარო პირებისთვის ქორწინების უფლების ჩამორთმევა ხორციელდება 1120-ე მუხლით, თუმცა მხოლოდ მისი არაკონსტიტუციურად გამოცხადებით პრობლემა ვერ მოგვარდება, რადგან თვითონ ქმედუუნაროდ გამოცხადებით პირი კარგავს ქორწინების უფლებას (ქორწინების პერსონალური ხასიათიდან გამომდინარე). თვითონ სისტემა, რომელიც ქმედუუნარიანობის საკითხს განსაზღვრავს ცალსახად შესაცვლელია, რადგან სწორედ აღნიშნული ახდენს პიროვნების უფლებების შეზღუდვას. სისტემაში შემოტანილი უნდა იქნეს მოსამართლის უფლება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად განსაზღვროს ვის შეუძლია ამა თუ იმ უფლებით სარგებლობა და ვის არა.

VII. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან მიმართებით

მოსარჩელები ასაჩივრებენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 327-ე მუხლის მე-2 ნაწილს, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს მეურვის, ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულების, ოჯახის წევრის განცხადებით, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, გამოაქვს გადაწყვეტილება გამოჯანმრთელებული პირის ქმედუუნარიანად აღიარების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უქმდება აღნიშნულ პირზე დაწესებული მეურვეობა“ და ამავე კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილის სიტყვებს, „აგრეთვე ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეთა“ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, რომელშიც ნათქვამია, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.“

ა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 327-ე მუხლისმეორე ნაწილის წინააღმდეგობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 327-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე მისი დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება შეუძლებელია, რადგან ის შეიცავს მითითებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლზე, ამიტომაც საჭიროა ამ ორი მუხლის ერთად წაკითხვა, რის შედეგადაც სადავო ნორმა შემდეგ სახეს მიიღებს, „როდესაც ქმედუუნაროდ აღიარებული პირი განიკურნება ან ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, სასამართლოს, მეურვის, ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულების, ოჯახის წევრის განცხადებით, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, გამოაქვს გადაწყვეტილება გამოჯანმრთელებული პირის ქმედუუნარიანად აღიარების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უქმდება აღნიშნულ პირზე დაწესებული მეურვეობა“.

სადავო ნორმით დაწესებული აკრძალვა, რომლის მიხედვით ქმედუუნარო პირებს ეკრძალებათ სასამართლოსათვის მიმართვა, აშკარაა, რომ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვას, რადგან საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნულ მუხლში ნათლად არის ნათქვამი, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს ...“. რადგანაც სადავო ნორმა ქმედუუნარო პირებს უკრძალავს თავად მიმართონ სასამართლოს, შესაბამისად ვიწროვდება კონსტიტუციის 42-ე მუხლით დაცულ სუბიექტთა სფერო. მაგრამ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ყველა ადამიანს აქვს სასამართლოსათვის მიმართვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება და სადავო ნორმით ადამიანებს, რომლებიც ქმედუუნაროდ

არიან აღიარებული, არ აქვთ ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული სადავო ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 42-ე მუხლს.

პირველ რიგში გასარკვევია თუ რას მოიცავს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო. საქმეში „საქართველოს მოქალაქეები: ვახტანგ მასურიშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, „ეს ნორმა ადგენს უფლებას სამართლიან სასამართლოზე... ეს უფლება არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის (სარჩელის შეტანის) შესაძლებლობას გულისხმობს, არამედ უზრუნველყოფს ადამიანის სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას... ეს უფლება მოიცავს შესაძლებლობათა შემდეგ მინიმუმს: პირის უფლებას მიმართოს სასამართლოს, მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი საჯარო მოსმენა, გამოთქვას თავისი მოსაზრებები და დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით, სასამართლო განხილვა მოხდეს გონივრულად შემჭიდროვებულ ვადებში და საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა სასამართლომ“ მიმდინარე საქმეში, სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების კუთხით პირველ რიგში მნიშვნელოვანია შემდეგი: რომ პირს 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ქონდეს სასამართლოსათვის მიმართვის და თავის პირადად დაცვის შესაძლებლობა. სადავო ნორმა კი ორივე აღნიშნული უფლების განხორციელებას კრძალავს ქმედუუნარო პირებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ 42-ე მუხლის პირველი პუნქტის ტექსტი არ მიუთითებს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობაზე, საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სამართლიანი სასამართლოს უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, თუ ეს შეზღუდვა დააკმაყოფილებს პროპორციულობის მოთხოვნებს. საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდვის პროპორციულობის შესაფასებლად ითვალისწინებს კონკრეტული სასამართლოსადმი მიმართვას, რაც იზღუდება, თუ წარმოადგენს „უფლების დაცვის ერთადერთ, ან უფლებაში აღდგენის განსხვავებულ, იმავდროულად, უფლების დაცვის აუცილებელ საშუალებას...“, რომლის გარეშეც უფლების სრულყოფილი, ადეკვატური დაცვა შეუძლებელი იქნება“ ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, შეზღუდვა არაპროპორციულად ჩაითვლება. აღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის შეფასებისას გადამწყვეტია მისი ნეგატიური ეფექტი პირის უფლებების დაცვაზე, რომელიც ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საზოგადოებრივმა სიკეთემ უნდა გადაწონოს. სხვაგვარად შეზღუდვა გამართლებული ვერ იქნება და შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ჩაითვლება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სადავო ნორმის კონსტიტუციის 42-ე მუხლთან შესაბამისობის დასადგენად, უნდა ვიმსჯელოთ აქვს თუ არა ქმედუუნარო პირებისთვის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვას ლეგიტიმური მიზანი და აკმაყოფილებს თუ არა ის პროპორციულობის მოთხოვნებს.

პროპორციულობის შესაფასებლად კი საკონსტიტუციოს პრაქტიკიდან გამომდინარე, დამატებით უნდა ვიმსჯელოთ არის თუ არა სასამართლოსათვის მიმართვის უფლება ქმედუუნარო პირებისთვის უფლების დაცვის ან უფლების აღდგენის ერთადერთი, აუცილებელი საშუალება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია თუ რა უფლებებსა და

თავისუფლებებზე არის საუბარი როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ 42-ე მუხლის პირველი პუნქტში ნახსენებ უფლებებზე და თავისუფლებებზე და რა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად შეუძლია მიმართოს პირმა სასამართლოს, შესაბამისად, რა უფლებების და თავისუფლებების დაცვას ან აღდგენას ემსახურება ხელი სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვით. ამის შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ განაცხადა, „არ არის აუცილებელი კონსტიტუციურ უფლებას ან თავისუფლებას ექმნებოდეს საფრთხე სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის გზით. ნებისმიერი სამართლებრივი უფლება, რომელიც გააჩნია და რომელსაც შეიძლება ზიანი მიადგეს სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობის პირობებში წარმოადგენს საფუძველს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი სადავო აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებისათვის.“ ჩვენს მიერ განხილვად საქმეში ასეთი უფლება არის ქმედუუნარო პირების უფლება, ცნობილ იქნენ ქმედუუნარიანად. შესაბამისად, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ჩამორთმევის გზით, ქმედუუნარო პირებისთვის საფრთხე ექმნება მათ ქმედუუნარიანად აღიარების უფლებას, რომლის განხორციელების გარეშე შეუძლებელია მათი ინტერესების სრულად განხორციელება. ამიტომაც ეს უფლება უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს ქმედუუნაროდ აღიარებული პირებისათვის, რადგან სწორედ ამ უფლების რეალიზაციით მიიღწევა ის, რომ ეს პირები ხდებიან სამოქალაქო საზოგადოების სრულყოფილი წევრები და აღიდგენენ შესაძლებლობას თავადვე, დამოუკიდებლად წარმართონ საკუთარი ცხოვრება. დავუბრუნდეთ აკრძალვის ლეგიტიმურობისა და პროპორციულობის საკითხს. 42-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, რომელიც მოიცავს პირის მიერ თავის პირადად დაცვის შესაძლებლობას, წარმოადგენს უფლების აღდგენის ერთადერთ და აუცილებელ საშუალებას, რადგანაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ნათლად მიუთითებს ქმედუუნარიანად ცნობის ერთადერთ საფუძველს, კერძოდ, მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებას აღუდგინოს ქმედუუნაროდ ცნობილ პირებს ქმედუუნარიანობა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ქმედუუნარო პირები ცნობილ იქნენ ქმედუუნარიანად, თუ არ იარსებებს სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა კი პირდაპირაა დამოკიდებული სასამართლოში ქმედუუნარიანად ცნობის მოთხოვნის შეტანასთან. ამის გაკეთების უფლებამოსილება ქმედუუნაროდ ცნობილ პირებს წართმეული აქვთ სწორედ სადავო ნორმის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სადავო ნორმა უღობავს ქმედუუნარო პირებს უფლების აღდგენის ერთადერთ გზას. სასამართლოსათვის პირადად მიმართვა ქმედუუნაროდ აღიარებული პირებისათვის უფლების აღდგენის ერთადერთ გზას წარმოადგენს იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული მეურვის, ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულების, ოჯახის წევრის განცხადებით უფლების განხორციელება ყველა შემთხვევაში ვერ იძლევა გარანტიას ქმედუუნარო პირებისთვის, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორების შემთხვევაში მოხდება მათთვის ქმედუუნარიანობის აღდგენა. აღნიშნული კი გამომდინარეობს იქედან, რომ შესაძლებელია სადავო ნორმით გათვალისწინებულმა პირთა წრემ ბოროტად ისარგებლოს ძალაუფლებით, რომელიც მათ ხელშია და მიზანმიმართულად არ

მიმართოს სასამართლოს პირის ქმედუნარიანად ცნობის თხოვნით. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით იძენს სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა ქმედუუნაროდ ცნობილი პირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას.

ზემოთ მოყვანილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში აგრეთვე საუბარი იყო იმაზე, რომ ნეგატიური ეფექტს, რომელიც უფლების შეზღუდვას ახლავს თან, უნდა აღემატებოდეს მიზნის მიღწევის საზოგადოებრივი სიკეთე უნდა. ამ შემთხვევაში კი კონკრეტულად ვერ დავასახელებთ თუ რომელი საზოგადოებრივი სიკეთის დაცვას ეხება ქმედუუნარო პირებისათვის სასამართლოსთვის მიმართვის აკრძალვა, რადგანაც თუ ამ პირებს ექნებოდათ შესაძლებლობა თავად მიემართათ სასამართლოსათვის, ზიანი არ მიადგებოდა არცერთ საზოგადოებრივ სიკეთეს. შესაბამისად, ამ მიზეზით აკრძალვის გამართლება გამორიცხულია.

საკონსტიტუციო სასამართლო, იმდენად რამდენადაც ქმედუნარიანად ცნობის უფლება უმნიშვნელოვანესია ქმედუუნაროდ აღიარებული პირებისთვის და ამ უფლების განხორციელების გარეშე შეუძლებელია მათი საზოგადოებაში რეინტეგრაცია, სადავო ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს უნდა მიუდგეს საკმაოდ მკაცრად, მით უფრო იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ ხელისუფლებას აქვს შესაძლებლობა სხვაგვარად მოაწესრიგოს აღნიშნული საკითხი. ამ საკითხის მოწესრიგების ალტერნატივა მდგომარეობს იმაში, რომ ხელისუფლებამ არ უნდა აუკრძალოს ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. ამ შემთხვევაში თავიდან იქნება აცილებული ის არასასურველი შემთხვევები, რომელიც შესაძლებელია გვექონდეს აკრძალვის არსებობის შემთხვევაში. ამისათვის კი არ არის საჭირო არავითარი გრადაცია, არამედ, ყველა ქმედუუნარო პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს და სასამართლომაც ინდივიდუალურად უნდა იმსჯელოს თითოეული მათგანის ქმედუნარიანად ცნობის შესახებ.

რადგანაც არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი კონსტიტუციური უფლების აკრძალვისათვის, აშკარაა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 327-ე მუხლის მეორე ნაწილი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს და უნდა იქნას ცნობილი არაკონსტიტუციურად.

ბ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მეხუთე ნაწილის სიტყვების წინააღმდეგობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სიტყვების „აგრეთვე ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეთა“ კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან წინააღმდეგობის შესამოწმებლად, საჭიროა განვმარტოთ სადავო ნორმა ანუ მეხუთე ნაწილი მთლიანად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მეხუთე ნაწილში ნათქვამია: „მცირეწლოვანთა უფლებებს, აგრეთვე ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები - მშობლები, მშვილებლები, მეურვეები. კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია საქმეში ჩააბას მცირეწლოვანიც.“

ამ ნორმით მოწესრიგებულია თუ ვის მეშვეობით უნდა მოხდეს ქმედუუნარო პირების ინტერესების დაცვა სასამართლოში. მუხლის ამ ნაწილით წესრიგდება ქმედუუნარო

პირების სასამართლოსთან ურთიერთობის საკითხი. მაგრამ აღნიშნული ნორმა ახდენს აშკარა დიფერენციაციას ქმედუუნარო მოქალაქეთა ორ კატეგორიას შორის. პირველნი არიან ქმედუუნარონი მცირეწლოვნების გამო („შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) არის ქმედუუნარო.“) და პირები, რომლებიც ქმედუუნაროდ არიან აღიარებული სასამართლოს მიერ („ქმედუუნაროდ მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნება აღიარებული.“) . ქმედუუნარო პირების ორ კატეგორიას შორის დიფერენციაცია გამოიხატება იმაში, რომ მცირეწლოვნობის გამო ქმედუუნარო პირებს აქვთ შესაძლებლობა წარმომადგენლის შუამდგომლობით ჩაბმულ იქნენ სასამართლო განხილვის პროცესში, განსხვავებით სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირებისაგან, რომლებიც მოკლებულნი არიან აღნიშნულ შესაძლებლობას, თუნდაც არსებობდეს წარმომადგენლის შუამდგომლობა. ამ შესაძლებლობას კი ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს ართმევს სადავო ნორმა. სასამართლოში მონაწილეობის უფლება კი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადავო ნორმით არის აკრძალული, წარმოადგენს კონსტიტუციის 42- მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებას, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი მოიცავს არა მარტო სასამართლოსთვის მიმართვის, არამედ აგრეთვე თავისი მოსაზრებების გამოთქმის და პირადად ან დამცველი მეშვეობით თავის დაცვის უფლებას. შესაბამისად, სადავო ნორმით ეკრძალებათ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს კონსტიტუციით დაცული უფლების განხორციელება.

სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება ქმედუუნაროდ აღიარებული პირებისათვის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს უფლებას, რადგანაც სასამართლო იღებს სწორედ ამ პირის შესახებ გადაწყვეტილებას. ამ გადაწყვეტილებამ შესაძლებელია უდიდესი გავლენა მოახდინოს ამ ადამიანების ცხოვრებაზე. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას კი ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხარეების პოზიციებს, რომლებიც გამტკიცებელია შესაბამისი არგუმენტებით. ამიტომაც ქმედუუნარო პირებს სასამართლო პროცესის დროს უნდა შეეძლოთ თავად მიიღონ მონაწილეობა პროცესში, უშუალოდ წარდგინენ სასამართლოს წინაშე და წარუდგინონ მას მათ ქმედუუნარიანობასთან დაკავშირებული მტკიცებულებები. ეს კი ხელს შეუწყობს სასამართლოს მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. ამასთან, ქმედუუნარო პირთან პირდაპირი კონტაქტით სასამართლო კიდევ უფრო გაამყარებს თავის გადაწყვეტილებას.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მიდგომა ჩამოყალიბებული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომლის პოზიცია მოსარჩელესაც აქვს მოყვანილი სარჩელში. კერძოდ, საქმეში შტუკატუროვი რუსეთის წინააღმდეგ სასამართლომ განაცხადა: „უამრავ საქმეში (რაც ეხებოდა ჰოსპიტალში სავალდებულო მოთავსება), სასამართლომ დაადგინა, რომ სულიერი აშლილობის მქონე პირს უნდა მიეცეს უფლება პერსონალურად ან, როდესაც ეს აუცილებელია, წარმომადგენლის ფორმით მოუსმინონ სასამართლო სხდომაზე. ქმედუუნარობის საქმის წარმოების ნებისმიერი შედეგი იყო თანაბრად მნიშვნელოვანი განმცხადებლისათვის: ამ დროს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ადამიანის პერსონალური ავტონომია კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. უფრო მეტიც, პირი, რომლის ქმედუუნარიანობაც დგინდება, სამართალწარმოების პროცესში ორმაგ როლს ასრულებს: ის არის დაინტერესებული

პირი და იმავდროულად სასამართლო განხილვის მთავარი ობიექტიც. ამიტომ მისი მონაწილეობა აუცილებელიც კი არის, არა მარტო იმიტომ რომ ადამიანს მისცენ საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა, არამედ ასევე უშუალო კონტაქტის მეშვეობით საქმის განმხილველ მოსამართლეს ადამიანის გონებრივ უნარებთან დაკავშირებით საკუთარი პერსონალური მოსაზრება ჩამოყალიბების შესაძლებლობა მიეცეს.” იმავე საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ პირი, რომლის ქმედუნარიანობაც დგინდება, მისთვის სასამართლოზე ხელმისაწვდომობის გამორიცხვით, არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს.

მიგვაჩნია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრება გასათვალისწინებელია, რადგან ეს პოზიცია მიმდინარე საქმისთვის რელევანტურია. ევროპული სასამართლოს ეს გადაწყვეტა პირდაპირ მიესადაგება სადავო ნორმის და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს შორის დამოკიდებულებას. სასამართლო განხილვაში მონაწილეობის უფლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს უფლებას, როგორც საქართველოს კონსტიტუციის, ასევე ევროპული კონვენციის მიხედვით და ეს უფლება შეზღუდულია სადავო ნორმით. ამასთან, ჩვენი აზრით, ამ შეზღუდვას არ გააჩნია არავითარი ლეგიტიმური მიზანი, რომელიც მას გაამართლებდა.

მივიჩნევთ, რომ ყოველივე ზემოთ მოყვანილი მტკიცებების გათვალისწინებით სადავო ნორმა უკრძალავს ქმედუუნაროდ გამოცხადებულ პირებს კონსტიტუციური უფლებით სარგებლობას ყოველგვარი გამართლების გარეშე. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ სადავო ნორმა ანუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 პუნქტი და შესაბამისად მასში შემავალი სიტყვები „აგრეთვე ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეთა“, ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს და უნდა იქნას ცნობილი არაკონსტიტუციურად.